სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 3 მარტი 2005 №46 (2369) ფასი 50 თეთრი



დინამოს ალვეშის კოჭებიც არ მოეწონა

მეორე სპორტიელიც დაიფუნეს

4



მსოფლიო კოლინას გარეშე

თავხოტორა იტალიელი 2006 წლის ჭუნდიალზე ალარ იმსაჯებს

5

ქართველები უკრაინელთა ჩემპიონატში

ფყალბურთელებმა პიკვის დინამოს მოუგეს

13

ტორპედო და კლასიკო ერთად გაღარიბდნენ

ბადრი ფატარკაციშვილი

შაბათს ქართული „კლასიკო“ გველის. მართალია, არც „ტორპედო“ და არც „დინამო“ გადასარევ ფორმაში არ არიან, მაგრამ მაინც „ტორპედო“ — „დინამოა“ და... მაგრამ, ეს ჯახი ქუთაისის ნაცვლად ფოთში ან ლანჩხუთში გაიმართება. გუშინ ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ამასწინანდელი იმერული დერბის („ტორპედო“—„ზესტაფონი“) სკანდალური ამბები გაარჩია და „ტორპედოს“ სტადიონს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. სტკ-მ სხვამხრივაც არ დააკლო სასჯელი ქუთათურებს, ოთარ გაბელია და შედან ნანიკაშვილი ცალკე 500-500 ლარით, კლუბი კი 1000 ლარით გააღარიბა.

და, ალბათ, „კლასიკოც“ გაღარიბდება — ვითომ, ნეიტრალურ სტადიონზე თამაში პეწს არ დაკარგავს? აი, ასეა, „ტორპედოს“ ვაი-გულშემატკივრებმა ისედაც გაჭირვებულ კლუბს ქვა აღმართში დააწიეს, გინება და ქვასროლიობანა ვის დასჯდომია კარგად...

ორმაგი ზვიადაური

მე და ზურა ერთ წონაში არ ვიჭიდავებთ



გამთენიისას ოლიმპიური ჩემპიონი ილიას ილიადისი, ჩვენებურად კი ჯარჯი ზვიადაური საბერძნეთში გაფრინდა. თავად არცთუ დიდი ხნის წინ დაოჯახებული ამ ერთი კვირის წინ თბილისში ბიძაშვილის, ასევე ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურის ქორწილისთვის ჩამოვიდა და ერთი კარგი საქმის წამოწყებაც მოასწრო. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილთან შეხვედრის შემდეგ ორმაგი მოქალაქეობის მიღება საბოლოოდ გადაწყვიტა, შემდეგ ჩამოსვლაზე კი გამზადებულ ქართულ პასპორტსაც მიიღებს.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

გაჭირვებულს აღმართში დასაწევი ესროლეს

ბადრი ჯბილაძის ფოტო

ამ არეულობამ ქუთაისის „ტორპედოს“ საქმეები აურია

ქუთაისის „ტორპედო“ იყოს კარგად და, სფფ-ის სადისციპლინო-ტექნიკურ კომიტეტს (სტკ) საქმეს რა დაულევს. რაც „ტორპედო“ — „ზესტაფონის“ ამასწინანდელ მატჩში მოხდა, რომელი ტრიბუნიდან რა ზომის ქვა წამოვიდა და ვინ ვის როდის შეაგინა, იმის მოყოლას აღარ დავიწყებთ. ჰოდა, სტკ-მაც ძირითადად იმერული დერბის სასკანდალო ამბები მიმოიხილა და აგერ, ვერდიქტებიც...

„ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტს შედან ნანიკაშვილს 500-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს მსაჯის შეურაცხყოფისთვის. ამავე მიზეზით და ამავე თანხით დასაჯეს გუნდის მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელიაც, თანაც მკაცრი გაფრთხილებაც მისცეს. კლუბს ცალკე 1000 ლარის გადახდა დააკისრეს და სტადიონს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწერეს — ეგებ ჭკუა ისწავლონ და ქვების სროლას შეეშვანო, მაგრამ „ტორპედოს“ და მის ქომაგებს ამგვარ სასჯელზე ყური უკვე მიჩვეული აქვთ.

სად გაიმართება შაბათს ჩემპიონატის მთავარი მატჩი „ტორპედო“ — „დინამო“? თავიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ თამაში ქუთაისშივე, ოღონდ ცარიელი ტრიბუნებით გამართულიყო, მაგრამ „მედალს მეორე მხარეც აქვს“ — ამგვარ პრეცედენტს, შესაძლოა, უარესად დაეძაბა ვითარება და სად არის გარანტია, რომ გააფთრებული გულშემატკივრები ძალით არ შევიდოდნენ სტადიონზე? თანაც, „დინამოს“ ქუთაისში სტუმრობისას რა აჟიოტაჟიც ტრიალებს, ყველამ იცის. ამრიგად, გადაწყდა, რომ ეს მატჩი ფოთში ან ლანჩხუთში (არჩევანი „ტორპედოსია“) გაიმართოს. ქუთათურები დღეს-ხვალ გადაწყვეტენ, სად დაუხვდნენ მთავარმეტოქეს.

თუ ფოთსა ან ლანჩხუთშიც საკმაოდ ჩავლენ „ტორპედოს“ ქომაგები და იქაც დებოშს ატეხენ, მაშინ აღარ ყოფილა საშველი...

სტკ გუშინწინდელ „დილა“ — „ვიტ ჯორჯიასაც“ გამოეხმაურა. ამ მატჩის მიწურულს გორელმა გულშემატკივრებმა „ხლაპუშკებს“ მცირე ზომის ქვებიც მიაყოლეს მინდორზე, რისთვისაც „თენგიზ ბურჯანაძის“ სტადიონს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, „დილას“ კი 1000 ლარით შეუთხელეს ისედაც დაცარიელებული ბიუჯეტი. ამაზეა ნათქვამი, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო — იმ ვაიგულშემატკივრებმა ის ქვები აღმართში დააწიეს თავიანთ გაჭირვებულ გუნდს.

და კიდევ, „კოლხეთის“ ფეხბურთელ ილია ქუტიძეს „თბილისთან“ შეხვედრისას მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ორმატჩიანი „დასვენება“ და 300 ლარი ჯარიმა გამოუწერეს.

ილია ნანოგაშვილი



დინამოს ალვეშის კოჭებიც არ მოეწონა

თბილისის „დინამომ“ მეორე ბრაზილიელი, მცველი რენატო ალვეშიც დაიწუნა — გია გეგუჩაძემ მის სამსახურზე უარი თქვა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ თბილისელებმა თავდამსხმელ რაფაელ და სილვასაც ვერ შეატყვეს კოჭებში კარგი ფეხბურთელობა და უკან გაისტუმრეს.

სადღეისოდ „დინამოში“ სამი ბრაზილიელი დარჩა — რომერო, ფიზმომზადების მწვრთნელი რობერტო როსა და მეკარე ჯონატას კუნეგეტო. რომეროზე სათქმელი არაფერია — იგი მეორე სეზონია, გუნდში ირიცხება და სასაყვედუროც არავისთვის მიუცია, როსას ამბავიც გადაწყვეტილია — ბრაზილიელი მწვრთნელი უკვე შეუდგა საქმეს, კუნეგეტოს ბედი კი ჯერაც გასარკვევია. მას მწვრთნელები კიდევ დააკვირდებიან და პასუხსაც მერელა ეტყვიან.

ძახა შალამბერიძე

ადამ ფირსოვის ფოტო

ბადრი ჯბილაძის ფოტო

ნაფტალინიდან ამოღებული მაისურები

ზედა ფოტოზე თვალმახვილ კაცს „დინამოს“ მაისურები ეუცნაურება. არა, ფერებსა და ხარისხს არ ვიწუნებთ, უბრალოდ, ანეკდოტია, დავით ოდიკაძეს გიორგი ქუცურუას მაისური აცვია, გიორგი ჭელიძეს დავით კვირკველიასი. და ლევან სილაგაძის 14-ნომრიან მაისურას გვარის წარწერაც თუ აქვს, ოდიკაძესა და ჭელიძეს ამ ადგილას აქერცლილი დაღმანჭულ-მიღმანჭული ასოები ატყვიათ, გიორგი ნემსაძეს კი, თურმე, გვარი საერთოდ არ ჰქონია...

კი მაგრამ, რა გაუჭირდა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კლუბს ასეთი, ოფიციალურ მატჩზე „ნათხოვარი“ მაისურებით რომ გადის? არადა, ესაო, ისაო, „2K“-ს ფირმის მაისურების პომპეზური პრეზენტაციებიო...

ადამ ფირსოვის ფოტო

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XXVI ტური
ლევანტე 1:1 ნუმანსია
ალბასეტე 1:1 ოსასუნა
რეალი 3:1 ბეტისი
ხეტაფე 1:1 დეპორტივო
სევილია 2:2 ვალენსია
სოსიედადი 2:1 სარაგოსა
რასინგი 2:1 ატლეტიკო
ვილიარეალი 2:1 მალიორკა
მალაგა 1:0 ბილბაო

ამხანაგური მატჩი

ავსტრია — ხორვატია *გადაიდო*

საფრანგეთი

თასის მეოთხედფინალი
ალბი 0:3 *სოშო*
ოსერი 3:2 პსჟ
ლილი 1:3დ.დ.(1:1) *გრენობლი*
რენი 0:1დ.დ.(0:0) *მონაკო*
ბულონი — ნანტი *გადაიდო*

შვეიცარია

სუპერლიგა. XX ტური
ყველა თამაში გადაიდო
ჩელენჯლიგა. XX ტური
ყველა თამაში გადაიდო

გერმანია

თასის მეოთხედფინალი
ფრაიბურგი 0:7 ბაიერნი

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXVII ტური
ინვერნესი 3:0 ჰიბერნიანი
ჰარტსი 1:2 რეინჯერსი
ლივინგსტონი 3:1 კილმარნოკი
დანდი იუნ. 1:2 აბერდინი
დანფერმლაინი 0:0 მოზერუელი
სელტიკი 3:0 დანდი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი
ძუინი 0:1 კლაიდი

ბელგია

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები
გენტი — ლოკერენი (1:2) *გადაიდო*
ლუვენი — ბრიუგე (2:2) *გადაიდო*

საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები
კასტორია 2:1 ოლიმპიაკოსი
პანიონიოსი 0:0 აეკ
არისი — კალამარია *გადაიდო*

პორტუგალია

თასის მეოთხედფინალი
მარიტიმუ 0:2 *ბოავიშტა*
აგადორა 0:0დ.დ.(პენ. 8-7, 0:0) ბელენენსეში
სეტუბალი : ბრაგა
გვიან დამთავრდა

ჰოლანდია

თასის მეოთხედფინალი
ტილბურგი 3:0 დენ ბოსხი
დენ ჰაგი 0:2 აიაქსი

თურქეთი

თასის
მეოთხედფინალი
დენიზლი 1:1დ.დ.(პენ.5:4, 1:1) *ძონია*
ფენერბაჰჩე 4:0 ძაისერი
ტრაბზონი 3:0 გაზიანთეფი

ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩი
დერბი 3:3 ვულვერჰემპტონი

ასოციაციის თასი
მეოთხედფინალი
გადათამაშება
ნოტინგემი 0:3 *ტოტენჰემი*

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

21 ტური მიმოხილვა

ზესტაფონი	1:1	ლოკომოტივი
დინამო	0:1	თბილისი
ჯოლხეთი	2:1	ტორპედო
ბათუმი	1:2	სიონი
დილა	0:4	ვიტ ჯორჯია

თბილისის „დინამოში“ ყველაფერი ისე ვერაა, კლუბის მწვრთნელ-ხელმძღვანელობა თუ უბრალო გულშემატკივარი რომ ისურვებს. საქართველოს 11-გზის ჩემპიონს საქმეები აერია და ეს ამ ტურშიც გამოჩნდა. „დინამო“ „დინამოა“ და მისი ავადმყოფობა განსაკუთრებულად სტკივა ყველას, ვისაც ქართული ფეხბურთი სტკივა.

და რა იქნება ხვალ? ამ კითხვაზე პასუხის მოძებნა ძნელია. რეალობა კი ისაა, რომ „დინამო“ წაგებებს დაეჩვია და „ზესტაფონთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ მარცხს ფეხბურთელებისგან დაცლილ „თბილისთან“ წაფორხილებაც დაერთო.

უარეს დღეშია ჩემპიონატის მეორე ლიდერი ქუთაისის „ტორპედო“. უქულობაზე თვალი რომ დავხუჭოთ, ქუთათურებს გულშემატკივრებმაც გაურთულეს საქმე, იმავ „ზესტაფონთან“ წაგების მერე მსაჯებს ნაირგვარი საგნები რომ დააყარეს. „ტორპედომ“ ფოთში „კოლხეთთან“ 1:2 წაგების მერეც „გამოიჩინა“ თავი და მსაჯებს შემოსწყრა, რაც უკვე ტრადიცია ხდება.

სხვა მატჩებში კი განსაკუთრებული ხმაური არ ყოფილა. ჩემპიონატი თავისი გზით მიდის...

პეტრიაშვილის და გეგუჩაძის ანსამბლი

„დინამო“ — „თბილისის“ მჭექთამაშს დავით ჭიჭვეიშვილი, გიორგი მიქაძე, სანდრო იაშვილი, ლაშა ნოზაძე და ირაკლი ზოიძე ტრიბუნიდან უცქერდნენ. ყველა ეს ფეხბურთელი „დინამოს“ საკუთრებაა, თუმც ჭიჭვეიშვილი გია გეგუჩაძის როტაციის პრინციპის გამო ივდა ტრიბუნაზე, ნოზაძე და ზოიძე ტრავმირებულნი იყვნენ, იაშვილი „თბილისშია“ განათხოვრებული, მიქაძეც „თბილისში“ იყო ივარით, მაგრამ ახლა „დინამოში“ ვარჯიშობს.

ასეთი ანსამბლი „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა და მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ შექმნეს, რომელთაც საქმეები ბოლო დროს ცუდად მისდით. ჯერჯერობით არც კლუბის სატრანსფერო პოლიტიკა ამართლებს და არც გეგუჩაძის როტაციის პრინციპი.

ანსამბლიდან კი ნამატჩევს მხოლოდ იაშვილი იყო გახარებული. მან დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა ამ შეხვედრაში, თუმც თამაშის შემდეგ მინდორზე ჩავიდა და „დინამოს“ მომგებ თბილისელებთან ერთად გადაიღო სამახსოვრო ფოტო.

ვაიმე, დილა, სადამდე...

„დილა“ ახლა დღეშია, მტერს არ უსურვებს კაცი. გუშინწინ „ოენგიზ ბურჯანაძეზე“ ნამდვილი ცოდვის ტრიალი იყო და ისევ ვაუკაცური ამტანობა და გულშემატკივრების პატივისცემა, თორემ „დილა“ — „ვიტ ჯორჯიას“ ჩაშლას ბევრი არაფერი ედგა წინ. ერთი კვირის წინ გორელები მშიერი კუჭით ბრუნდებოდნენ ბოლნისიდან (სადაც 0:3 წააგეს) და სიმწრით იცინოდნენ, 1 მარტამდე საჭმელს ტყუილად ნუ მოვიკითხავთ, წყალი დავლიოთ, შიმშილს კლავსო. 1-ში გუნდს ხელფასი უნდა აეღო, მაგრამ საქმეში ხარ? ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ „დილას“ შარშან 22 (!) კაცი პატრონობდა, დღეს კი ეს საქმე მხოლოდ შიდა ქართლის გუბერნატორ მიხეილ ქარელს აბარია, მაგრამ...

გუშინდელი თამაშის შემდეგ ქარელის მოადგილე ზვიად ხმალაძე აღშფოთებულ ქომაგებს ჰპირდებოდა, ასეთი საცოდაობა გორში უკანასკნელი იქნებაო. ვნახოთ... გული კი ცუდს გვეუბნება, რადგან „დილა“ შაბათს „თბილისს“ უნდა ესტუმროს და საკუთარ მოედანზე თუ ლასლასით გავიდა, რა გარანტია გვაქვს, რომ დედაქალაქში ჩამოვა...

სუსტი რგოლი? არა, გოლი!

ბომბარდირები

13-ჟელქაძე	*დინამო*
ჭეჭრიშვილი	*ტორპედო*
10-ოდიკაძე	*თბილისი / დინამო*
ბოგოსიანი	*ლოკომოტივი*

ჩემპიონატი ისე განახლდა, რომ ბომბარდირთა საუკეთესო ოთხეულს გოლი არ გაუტანია. ასე მიილია მე-19 და მე-20 ტურები. გუშინწინ კი ნავსი გატყდა — ტორპედოელმა გია მეგრელაძემ ფოთში „კოლხეთს“ გაუტანა და ლიდერ ლევან მელქაძეს შეუამხანაგდა. სადღეისოდ ორივეს 13-13 გოლი აქვს გატანილი.

საინტერესოა, ვინ აუბამს მხარს მეგრელაძეს და ვინ გაიტანს მომავალ, 22-ე ტურში. ისე კი, ბომბარდირთა სათავეში მყოფ წყვილს 5 მარტს სერიოზული დუელი ელის: მეგრელაძის „ტორპედო“ მელქაძის „დინამოს“ უმასპინძლებს... ვინ იქნება „სუსტი რგოლი“?

სიმბოლური ნაკრები



მომდევნო ტური

5 მარტი, შაბათი

ვიტ ჯორჯია – ბათუმი

ლოკომოტივი – სიონი

ზესტაფონი – ჯოლხეთი

ტორპედო – დინამო

თბილისი – დილა

დინამო	21	13	3	5	41:21	42
თბილისი	21	12	4	5	42:25	40
ტორპედო	21	11	7	3	33:14	40
ვიტ ჯორჯია	21	10	5	6	35:25	35
ლოკომოტივი	21	7	10	4	27:18	31
ზესტაფონი	21	8	2	11	19:37	26
ბათუმი	21	6	7	8	24:19	25
კოლხეთი	21	6	5	10	21:27	23
სიონი	21	6	2	13	20:44	20
დილა	21	2	3	16	13:45	9

ჩემპიონი დინამო გახდება

თბილისი ერთი-ერთზე არ თამაშობს, რეზერვს რიცხობრივად ამარცხებს მინ ჩოის ბევრს ნუ მოსთხოვთ

თბილისის „დინამო“ საქართველოში არის ის მეტრი, რომლითაც სხვა გუნდები ზომავენ თავიანთ ძალას. გუშინწინ, ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის მესამე ტურში ლუის ცაკარიასის „თბილისმა“ დინამოური ტესტი წარმატებით ჩააბარა — ცაკარიასელებმა სტუმრად 1:0 მოიგეს. სენსაციური შედეგი გახლდათ, რადგან „თბილისიდან“ სამეორეეტაპოდ ძალიან ბევრი ფეხბურთელი წავიდა, ხოლო „დინამო“ პირიქით, ათი ახალი ფეხბურთელით გაძლიერდა, თუმც დავით კვირკველიას და ჯაბა კანკავას შეელია. და როგორღა მოუგო „თბილისმა“ „დინამოს“? ლუის ცაკარიასს გუშინ ჯერ ეს ვკითხეთ, მერე კი სხვაც...

ბადრი ჯობავაძის ფოტო

— რა ტაქტიკა-სტრატეგიით, რა ფანდით შეძელით „დინამოს“ დამარცხება?

— ჩვენ ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ კადრების ნაკლებობას განვიცდით — ფეხბურთელთა რა მარაგიც გვყავდა, იმის მიხედვით შევარჩიეთ ტაქტიკა. მთავარი ფაქტორი სამი ნახევარმცველი იყო — მესხი, მინ ჩოი და ჯიქია — მათ დიდი სამუშაო უნდა შეესრულებინათ მეტოქის შეტევის შეჩერებისას და რაც შეიძლება სწრაფად გადასულიყვნენ შეტევაში. ამ სამეულის წინ კი აფციაური გავამწესეთ, ვისაც უფრო შეტეეითი ფუნქციები დაეკისრა.

— „თბილისი“ მოედნის თითქმის ნებისმიერ მონაკვეთში რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდა — ეს როგორ მოახერხეთ?

— დაცვაში ჩვენი ფეხბურთელები ერთმანეთთან რაც შეიძლება ახლოს უნდა ყოფილიყვნენ და ამავე დროს მოედნის ნებისმიერ ფართობზე რიცხობრივი უპირატესობა უნდა შეგვექმნა. ამაზე მატჩის წინ სერიოზულად ვიმუშავეთ, მხოლოდ ასე თუ შევძლებდით ჯამარაულის და ნემსაძის შეჩერებას, თორემ ერთი-ერთზე დინამოელები ჩვენ აუცილებლად გვაჯობებდნენ. მოკლედ, ჩვენმა სამკუთხედებმა ეფექტურად იმუშავა. შეტევის დროსაც ყველა ჩვენს მოთამაშეს თავის მიმართულება ჰქონდა. მაგალითად, ფორვარდი ბარაბაძე „დინამოს“ ორ მცველს კარგად ბოჭავდა.

— მეორე ადგილზე აინაცვლეთ და „დინამოს“ ორი ქულით ჩამორჩებით — გუნდს, რომელმაც „დინამოს“ მოუგო, ჩემპიონობის რა შანსი აქვს?

— „დინამოსთან“ მატჩისთვის 11 პროფესიონალი ფეხბურთელიც კი არ გვყავდა, ბარაბაძე სულაც 16 წლისაა. მთელი სეზონი წარმატებით რომ ვითამაშოთ, ამისთვის შესაბამისი რესურსია საჭირო, რაც არ გაგვაჩნია — რეალობის გათვალისწინებით ჩემპიონატის ფავორიტი „დინამოა“, ამ გუნდს დანარჩენებზე დიდი რეზერვი აქვს.

— შარშანაც ასე იყო, „დინამოს“ ყველაზე დიდი საკადრო რეზერვი ჰყავდა, მაგრამ ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ გახდა...

— ეს ფეხბურთია და ხანდახან ასეთები ხდება ხოლმე. ერთხელაც ვიტყვი, რომ რეალობის გათვალისწინებით ჩემპიონი „დინამო“ უნდა გახდეს. „დინამოსთან“ ჩვენმა ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ქემოკლიძემ ყვითელი ბარათი მიიღო და მომდევნო მატჩში არ გვეყოლება, ტრავმიანი აფციაურის თამაში კი სათუოა — უკვე ძალიან დიდი პრობლემების წინაშე დავდექით, ამ ფეხბურთელების სრულფასოვანი შემცვლელები, ფაქტობრივად, არ გვყავს.

— სამაგიეროდ, მომდევნო მატჩში „დილასთან“ დისკვალიფიკაციამოხდილი სანდრო იაშვილი დაგიბრუნდებათ, ვინც აპრილში შესაძლოა, კვლავ წავიდეს „რეინჯერსში“ — თქვენი პოზიცია როგორია, ეს ფეხბურთელი სეზონის დამთავრებამდე უნდა წავიდეს გუნდიდან?

— მას დიდ კლუბში გადასვლის შანსი აქვს და ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი. თუ იაშვილი რეინჯერსელი გახდება, მოხარული ვიქნები.

— და მიგაჩნიათ, რომ ეს ფორვარდი უკვე მზად არის გახდეს რეინჯერსელი?

— მას დიდი პოტენცია აქვს და მჯერა, რომ შეძლებს „რენჯერსში“ დამკვიდრებას სათანადო შრომითა და მონდომებით. იაშვილი ისეთი სტილის ფორვარდია და თავით ისე თამაშობს, რომ ბრიტანეთში კარგად წარმოაჩენს თავს.

— თბილისის“ ახალწვეულ მაიკლ მინ ჩოიზე რას იტყოდით?

— კარგი მოთამაშეა, სამხრეთ ამერიკაში ძალიან სასარგებლო გამოცდილება შეიძინა, მაგრამ ის მხოლოდ 18 წლისაა და ძალიან ბევრს ნუ მოვთხოვთ. აწი მას უფრო გაუჭირდება საქართველოს ჩემპიონატში თამაში, რადგან ის აქ უკვე გაიცნეს, თუმც ვფიქრობ, რომ მაინც კარგი სეზონი ექნება.

— „თბილისში“ გასინჯვაზე იყო ჩილელი დანიელ არიასი, რომელიც გუნდში ვერ დამკვიდრდა — რა ბედი ეწევა განელ დუგლას ადომაკოს?

— ადომაკოს კიდევ ერთი კვირა დავაკვირდებით. ერთი სიტყვით, ნიჭიერ ფეხბურთელებს ყველგან ვეძებთ, უცხოეთშიც და საქართველოშიც.

დავით თავართქილაძე

ბურთი ილლიაში

№27 არ იყიდება



ბიორგი დარჯანიას ფოტო

გიორგი ჩიხრაძემ და ოლეგ ლუჟნიმ თურქეთში უკრაინის ჩემპიონატი გაიხსენეს

ორშაბათს გამთენიისას საქართველოს ჩემპიონატის პირველლიგელი „ამერი“ თურქული შეკრებიდან თბილისში დაბრუნდა. პირველ ლიგაში სეზონი 6 მარტს განახლდება და იქამდე დარჩენილ დღეებში მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე გუნდს ორჯერადად ავარჯიშებს.

თურქული შეკრება კი, ორი სიტყვით რომ ვთქვათ, დატვირთული გახლდათ. „ამერმა“ ძირითადი შემადგენლობით ოთხი თამაში ჩაატარა, რომელთაგან ერთი მოიგო და სამი ფრედ დაასრულა. სარეზერვო გუნდით კი ამერელებმა ხუთი თამაში ჩაატარეს. მათგან ორი მოიგეს, სამში კი მარცხი იწვნიეს.

თუმცა მშრალი ციფრები ყველაფერს ვერ ასახავენ და ამდენად „ამერის“ თურქული შეკრების პერიპეტიები უფრო ვრცლად მიმოვიხილოთ...

ბელეკში ჩასულები სასტუმრო „არკადიაში“ დავბანაკდით. ავტობუსიდან ფეხი ჩამოვდგით თუ არა, მინსკის „დინამოს“ მწვრთნელებს შევეჩეხეთ:

— საიდან ხართ?

— საქართველოდან. თბილისის „ამერი“, პირველი ლიგა.

— აბა, „ჩაჩა“ დაგვილევია თქვენთან...

ბელარუსებმა ჩვენთან ერთად ჭაჭა ვერ დალიეს. ერთი რომ, ჭაჭის დასალევად არ ვიყავით ჩასულები და მეორე, თავად იმ დღეს მიემგზავრებოდნენ სამშობლოში...

„სარბიელის“ ფურცლებიდან „ამერის“ ძირითადი შემადგენლობის სამი საკონტროლო მატჩის მიმოხილვების გაცნობის საშუალება გქონდათ. მეოთხე, ლატვიურ „ვენტასთან“, გამომგზავრების წინა დღეს, შაბათს გაიმართა. კვირას სასტუმროს დატოვებამდე ნახევარი საათით ადრე რედაქციაში ფაქსი გავაგზავნე, მაგრამ თბილისში დაბრუნებულს სარბიელელებმა მითხრეს, არაფერი მოსულაო. ჰოდა, „ვენტასთან“ მატჩის მცირე მიმოხილვას ახლა წარმოგიდგენთ.

„ვენტა“ ლატვიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დებიუტანტია, მაგრამ მის შემადგენლობას თუ გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, „ვენტაში“ ალექსანდრ ხაცკევიჩი და ოლეგ ლუჟნი თამაშობენ. ბელარუსის ნაკრების ლიდერი ხაცკევიჩი აქამდე კიევის „დინამოში“ თამაშობდა, ხოლო ლუჟნი, ვინაც „ვენტას“ მოთამაშე-მწვრთნელია, ბოლოს ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელი იყო.

თამაში 2:2 დასრულდა, თუმცა „ამერი“ სულიკო დავითაშვილისა და გიორგი დეკანოსიძის გოლებით 28-ე წუთზე 2:0 იგებდა.

„ამერს“ სხვა ნაღდი მომენტებიც ჰქონდა, მაგრამ ბოლო დარტყმა არ გამოსდიოდა. ლატვიელებმა კი ოთხი მომენტი შექმნეს. ერთხელ მეკარე ლადო ნადირაშვილმა პირისპირ გასულ თავდამსხმელს აჯობა, მეორე შემთხვევაში ბურთი ჩვენი კარის ხარიხას მოხვდა, ორჯერაც ლატვიელებმა გაგვიტანეს და ფრეს მიაღწიეს.

პირველი საპასუხო გოლისას ლატვიელთა კამერუნელმა მცველმა ჟან პიერ ნდეკმა შეღოცვაც გამოიყენა... „ამერის“ კარისკენ საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. სანამ ცოცხალი კედელი დადგებოდა და დანარჩენი ფეხბურთელები თავიანთ პოზიციებს დაიკავებდნენ, ახმახი კამერუნელი კარში შევიდა, ბადე რამდენჯერმე დაქაჩა და მხოლოდ ამის მერე მოემზადა ჩასაწოდებელი ბურთის დასახვედრად — საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი სწორედ კამერუნელს მიუვიდა და გაიტანა...

ამერელთა სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ გიორგი დეკანოსიძემ გასაქანი არ მისცა ხაცკევიჩს, ოლეგ ლუჟნი კი მეტწილად თანაგუნდელებს უყვიროდა: come back, вашу мать...

ნამატჩევს კი ოლეგ ლუჟნიმ, თამაშის შესახებ კომენტარი რომ ვთხოვე, მითხრა: „ყველაზე მეტად გიორგი ჩიხრაძის ნახვა გამიხარდა. როცა მე „დინამოში“ ვთამაშობდი, ის „შახტარის “ ფეხბურთელი იყო და მოედანზე მოწინააღმდეგეებად შეეხვედრივართ.

„ამერი“ ძალიან კარგი, ტექნიკური გუნდია და გიორგის გულით ვუ-ლოცავ ასეთი კარგი გუნდი რომ ჰყავს. ერთი-ორი თვეც და, მეც დავასრულებ ფეხბურთელის კარიერას. მერე კი მთელ დროს მხოლოდ სამწვრთნელო საქმეს დავუთმობ.“

თურქული შეკრების საფეხბურთო შთაბეჭდილებებიდან თვალში საცემი მსაჯთა არაკვალიფიციურობა იყო. „ვენტასთან“ ნახსენები შეხვედრისას თურქმა თანამსაჯმა 16-ჯერ აღმართა ალამი ამერელთა თამაშგარეში ჩარჩენის ნიშნად, თუმცა აშკარა იყო, რომ ამერელები ექვსჯერ თუ იყვნენ ოფსაიდში. ორჯერ არბიტრმა ნაღდი თერთმეტმეტრიანიც არ დანიშნა ლატვიელთა კარში.

ოღონდ ამით იმის თქმა არ მსურს, მსაჯები ქართველებს გვჩაგრავდნენო — სხვა მატჩებში ჩვენ სასარგებლოდაც შემცდარან. უბრალოდ, მათ არაკვალიფიციურობაზე მინდა მივანიშნო, რითაც ხან „ამერს“ აზარალებდნენ, ხან „ამერის“ მეტოქეს.

გამოცდილებისთვის რუმინულ „პანდურიისთან“ მატჩიც გამოსადეგი იყო. შეხვედრის 79-ე წუთზე მეტოქის კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ ვინ დაგარტყმევინა — რუმინელთა მწვრთნელი მოედანზე გადავიდა, ბურთი ამოიღლიავა და არბიტრს იმდენ ხანს ეკამათა, რომ მსაჯმა თამაშის ნაადრევად შეწყვეტაზე უკეთესი გამოსავალი ვერ მოძებნა.

სასიამოვნო შთაბეჭდილებებიც იყო, თუნდაც ასეთი: პოლონურ „იაგელონიასთან“ მატჩის მერე პოლონელთა ემისარი მოგვადგა, თქვენი 27 ნომრის ფასი გვითხარითო. პასუხი სტანდარტული იყო — არ იყიდება. 27-ე ნომერი კი „ამერში“ გიზო ჯელაძეა.

ბოლოს ერთი არასაფეხბურთო შთაბეჭდილებაც. სასტუმრო „არკადიას“ ფოიეში უამრავი ეროვნების ადამიანი ვისხედით. ერთ-ერთ უცხოელს მობილურზე დაურეკეს. ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ არაჩვეულებრივი ის იყო, რომ იმ უცხოელს მობილურზე ზარად ქართული საცეკვაო მელოდია ჰქონდა დაყენებული.

ბიორგი დარჯანია
ფკ ამერის
პრესსამსახურის უფროსი

სან სიროს ცვრიან ბალახზე

ჰოპლა, ინძაგი მორჩენილა



ფილიპო ინძაგი თავის შანსს დაელოდება

ბოლო წელიწადია, უკვე მერამდენედ გვიწევს იმის თქმა, რომ ფილიპო ინძაგიმ ვარჯიში განაახლა და მალე მინდორს დაუბრუნდება. ბოლოს ასეთი შემთხვევა გასულ თვეში იყო, როდესაც პიპომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იტალიის თასზე ითამაშა, მაგრამ ახალი ტრავმის მიღება 5 წუთში მოასწრო. თუმც, ახლა თუ თავად ფეხბურთელსა და ექიმებს ვენდობით, ყველაფერი კარგად იქნება.

„როგორც იქნა, სირბილი დავიწყე და მინდორზე გასვლას რამდენიმე დღეში შევძლებ. უკვე ძალიან დიდი ხანი გამიცდა და ერთი სული მაქვს, ოფიციალურ მატჩში როდის ვითამაშებ. აშკარად არ მიმართლებდა, მაგრამ მჯერა, უიღბლობის ხანა უკან მოვიტოვე. ერთადერთი სიკეთე, რაც ამ დრომ მომიტანა, ის არის, რომ ნებისყოფა გამიძლიერდა და გამოუსწორებელი ოპტიმისტი გავხდი“ — განაცხადა ინძაგი.

გაშუქებამ აჩვენა, რომ მოტეხილობა ბოლომდე შეხორცებულია და ფეხბურთელს არც ძველი ტრავმა აწუხებს. იგი დიდი ენთუზიაზმით ვარჯიშობს და იმედი მაქვს, რომ „მანჩესტერთან“ ითამაშებს.

პიპო განმარტავს: „მჯერა, რომ ინგლისელების წინააღმდეგ თამაშს მოვახერხებ. მთავარია, განაცხადში მაინც მოვხვდე, ხოლო თუ გუნდს დავჭირდები, მზად ვარ, მინდორზეც გავიდე და ყველაფერი გავაკეთო“.

31 წლის ფორვარდი „მილანს“ ეგებ მართლაც დასჭირდეს, რადგანაც ანდრეი შევჩენკოს ტრავმის შესახებ ყველასთვის ცნობილია, იონ დალ ტომასონი ფორმაში არ არის და კარლო ანჩელოტის განკარგულებაში ფაქტობრივად ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდია — ერნან კრესპო. შესაბამისად, „როსონერის“ შეტევაში თამაში მართლაც უჭირს, მიუხედავად იმისა, რომ გუნდს მშვენიერი შედეგები აქვს. იტალიური პრესაც განუწყვეტლივ წერს, უბრალოდ „მილანს“ უმართლებს და თუ თავდასხმაში მდგომარეობა არ გამოასწორა, შორს ვერ წავალ.

ინძაგი კი სხვაგვარად ფიქრობს: „დავიწყოთ იმით, რომ უმართლებს ძლიერებს. გარდა ამისა, ჩვენ წარმატებას იღბლიანობის გამო ნამდვილად არ ვაღწევთ, უბრალოდ, ძალიან კარგი გუნდი გვყავს, ხოლო მატჩის მიწურულს გატანილი გოლები უფრო ჩვენს მებრძოლ ხასიათზე მეტყველებს, ვიდრე გამართლებაზე. აი, მე კი ნამდვილად ბედი მწყალობს — ვთამაშობ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში და ჩინებული თანაგუნდელებიც მყავს. როდესაც გუნდის წევრი ხარ, მაგრამ თითქმის მთელი წელი „სან სიროს“ გარედან უყურებ და მის მინდორზე ფეხის დადგმა არ შეგიძლია, ხვდები, თუ რამდენი დაკარგე. თუმც ახლა იმედი მაქვს, ყველაფერი გამოსწორდება“.

გიორგი კაკაბაძე

ნიჰათ კაჰვეჩი „სოსიედადს“ ზაფხულში დატოვებს

პიტერ კინიონმა რუსულ არმიაში თურქი გაამწესა

ნიჰათი ლონდონში მოსკოვის გავლით ჩავა

როგორც ესპანური AS-ი იუწყება, „ჩელსიმ“ და „სოსიედადმა“ უკვე ყველაფერზე მოილაპარაკეს და შეგვიძლია, თურქი ნიჰათ კაჰვეჩი ლონდონელთა ფეხბურთელად ჩავთვალოთ. როგორც ამბობენ, ბასკები ამ ტრანსფერს ოფიციალურად ზაფხულში გაახმაურებენ და მის სანაცვლოდ აღებულ 12 მილიონ ევროსაც მაშინ ჩაიჯიბავენ.

მაგრამ, აქ ერთიცაა — გეცოდინებათ, 25 წლის ნიჰათის შეძენა აქამდე ძალიან სურდა მოსკოვურ ცსკა-ს და არმიელებიც მიზანს მანამდე ვერ აღწევდნენ, სანამ ასპარეზზე „ჩელსი“ არ გამოჩნდა.

იკითხავთ, ნიჰათი „ჩელსიმ“ თუ იყიდა, მაშ ცსკა რაღა შუაშიაო. საქმე ისაა, რომ ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი რუსულ კლუბს გულს არ დასწყვეტს და ნიჰათს ზაფხულიდან ერთი წლით იჯარით სწორედ მოსკოვში გაანათხოვრებს.

ბრიტანული პრესის ცნობით, თურქი ფორვარდის ყიდვა „ჩელსის“ აღმასრულებელი დირექტორის, პიტერ კინიონის ინიციატივა იყო. იგი ნიჰათის თამაშით დიდი ხანია, მოხიბლულია. მისი ხელში ჩაგდება ჯერ კიდევ „მანჩესტერში“ მუშაობისას სურდა.

გავრცელებული ჭორების თანახმად, „ჩელსის“ თავკაცი ჟოზე მაურინიუ თავიდან წინააღმდეგი იყო — ამ ამპლუის მოთამაშე ჯერ არ მჭირდებაო, თუმც ინგლისური კლუბის უფროსობამ, აბრამოვიჩის თამადობით, მარტივი გამოსავალი იპოვა, რაზეც ზემოთაც ვოქვით.

ბოლოს კი დავძენთ, რომ „სოსიედადის“ საუკეთესო ბომბარდირი ახლა ტრავმირებულია, ნიჰათს მუხლის მყესები აქვს გაწყვეტილი. მედიკოსთა თქმით, თურქი მინდორს სულ ცოტა, 6 თვეში დაუბრუნდება.

გიორგი კაკაბაძე

მსოფლიო კოლინას გარეშე

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, გადაწყვეტილი ამბავია, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იტალიელი პიერლუიჯი კოლინას გარეშე ჩაივლის.

შეგახსენებთ, რომ მსაჯობა მხოლოდ 45 წლამდეა ნებადართული, თავხოტორა იტალიელი კი ამ ასაკს გერმანიის მუნდიალის დაწყებისას მიაღწევს. მიუხედავად ამისა, ახლა იგი მაინც ჩინებულ ფორმაშია და საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრია. ამიტომაც იტალიის ფეხბურთის ფედერაცია წესების შეცვლას აპირებს, რათა კოლინამ სერია A-ში კიდევ 2 წელი შეძლოს მუშაობა. როგორც ირკვევა, სხვა ორგანიზაციები იგივეს არ გააკეთებენ.

„თუ იტალიაში წესებს შეცვლიან და კოლინა სერია A-ს მატჩების მსაჯობას კიდევ რამდენიმე წელი შეძლებს, ძალიან კარგი იქნება. ამის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ მათ მაგალითს ნამდვილად ვერ მივბაძავთ“ — თქვა ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა.

მოგეხსენებათ, კოლინა საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში წინა კვირაშიც მოექცა, როდესაც ანდერს ფრისკის ქმედებებით უკმაყოფილო ჟოზე მაურინიუმ განაცხადა, „ბარსელონასთან“ სასპასუხო მატჩი აუცილებლად კოლინამ უნდა იმსაჯოსო. თუმც უეფას ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია და ძნელად სავარაუდოა, პორტუგალიელი სპეციალისტის სურვილს დაჰყვეს.

„ლონდონური მატჩის მსაჯობა აუცილებლად პიერლუიჯი კოლინას უნდა მიანდონ. იგი საუკეთესოა მსოფლიოში, ბრწყინვალეა, როგორც ადამიანი და როგორც არბიტრი. თანაც ყოველთვის მიუკერძოებელია. იმედია, უეფა სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს“ — ამბობს მაურინიუ.

ბოლოს კი იმ ფეხბურთელთა სიას გაეცანით, რომლებიც დამდეგ უქმეებზე სერია A-ს მორიგ ტურს გადამეტებული წითელ-ყვითლების გამო გამოტოვებენ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „კალიარის“ ნახევარმცველ ნელსონ ბეიხონს მსაჯის შეურაცხყოფისთვის ორმატჩიანი უქმობა მოუსაჯა, ხოლო თითო შეხვედრას ესენი გამოტოვებენ: სიმონე ბარონე და ეუჯენიო კორინი (პალერმო), ჯამპიერო პინცი (უდინეზე), კაფუ (მილანი), ფაბიო ბაკანი (ლაციო), დანიელე კონტი (კალიარი), სიმონე ტირიბოკი (კიევო), ალბერტო (სიენა), კრისტიან ლედესმა (ლეჩე), ალესანდრო გამბერინი (ბოლონია), ნიკოლა მინგაკინი და ლუიჯი სალა (ატალანტა), მასიმო დონატი და ზორო კპოლო (მესინა).

გიორგი კაკაბაძე

რობერტო კარლოსმა ესპანეთი შეარცხვინა



ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ლაკონიური „დეპორტივო“ 600 ევროთი დააჯარიმა, რადგან გალისიური კლუბის ინჩასებმა გასულ უქმეებზე მადრიდის „რეალის“ რობერტო კარლოსი რასისტული გამონათქვამებით შეამკეს.

შეურაცხყოფილმა რობერტო კარლოსმა, რომელსაც ბურთის მიღებისთანავე უსტვენდნენ და კანის ფერს ახსენებდნენ, ნამატჩევს განაცხადა: „ეს მარტო ჩემი კი არა, სრულიად ესპანეთის სირცხვილია. წარმოიდგინეთ, შეხვედრა იმიტომ წყდება, რომ მსაჯმა ქომაგები დააწყნაროს. ყელში ამომივიდა ამ უტვინო რასისტების საქციელი. ბევრი შავკანიანი მოთამაშე თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, თუმც ესპანეთში ეს პრობლემა მწვავედ არ დგას — ვფიქრობ, ფანები მსგავსი გამოხტომებით მხოლოდ ყურადღების მიპყრობას ცდილობენ“.

ამ მატჩის მსაჯმა, ხოსე ლოსანტოს ომარმა შეხვედრა დროებით შეაჩერა, რათა მასპინძელი ქომაგები დაშოშმინებულიყვნენ. ლოსანტოს ომარი მეორე მსაჯი გახდა ალფონსო პერეს ბურულის შემდეგ, რომელმაც პრიმერადივიზიონის შეხვედრა ამ მიზეზის გამო შეწყვიტა. ბურულმა ორი კვირის წინ „მალაგასა“ და „ოსასუნას“ თამაში გააჩერა. „დეპორტივო“ კი ახლა იმ შავ სიაში ჩაეწერა სადაც „ხეტაფე“, „მალაგა“, „ალბასეტე“ და მადრიდის „ატლეტიკო“ წერიან.

ვაჟა ხუციშვილი

შენ ძლიერი ხარ, მე სუსტი...

ბობოლებმა პატარები დაიფრინეს

REUTERS შეფილდიდან

შეფილდი — არსენალი. ლონდონელებმა ქვედა ლიგელები მატჩის შემდგომი პენალტებით დააშარცხეს

ინგლისი

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი. გადათამაშება

ბრენტფორდი 1:3 საუთჰემპტონი
1:0 ჰათჩინსონი (4), 1:1 კრუჩი (11), 1:2 ფილიპსი (67), 1:3 კრუჩი (90)

შეფილდი 0:0 (პენ.2:4) არსენალი
ბლეკბერნი 2:1 ბარნლი
1:0 თუგაი (31), 1:1 ჰიდი (42), 2:1 მ. პედერსენი (86)

ესეც ასე: გამოირკვა მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო შეჯიბრის, ინგლისის ასოციაციის თასის მეოთხედფინალისტთა ვინაობა.

პრემიერლიგელებმა მაინც დაძლიეს პატარათა წინააღმდეგობა და 12-13 მარტისთვის მზადებას შეუდგნენ. მაგალითად, „ბლეკბერნმა" სამეზობლოს ძველ გუნდს, „ბარნლის" მოუგო, ოღონდაც გაჭირვებით. გადამწყვეტი გოლი თამაშის 86-ე წუთზე ნორვეგიელმა მორტენ პედერსენმა გაიტანა. ბლეკბერნელთა მენეჯერ მარკ ჰიუზისთვის თასისკენ სვლა განსაკუთრებული ამბავია: მას, ფეხბურთელობისას 4-ჯერ მოუგია ეს თასი „მანჩესტერთან" ერთად, ახლა მენეჯერად მყოფსაც ძალიან სურს გამარჯვება. მეოთხედფინალში „ბლეკბერნი" შარშან, პრემიერლიგიდან დაქვეითებულ „ლესტერს" შეხვდება.

„საუთჰემპტონი" კი ლონდონში სტუმრობდა პატარა „ბრენტფორდს" და აგებდა კიდეც, თუმცა, მერე პიტერ კრუჩის დუბლისა და კევინ ფილიპსის კიდევ ერთი გოლის წყალობით მოიგო. „ბრენტფორდმა" ისე შეუტია თავიდან, რომ მე-5 წუთზე უკვე ორი ბურთით წინ ყოფნა შეეძლო, თუმცა ერთით წინ ყოფნაც დიდხანს არ გაუგრძელდა, რადგან „საუთჰემპტონი" არ აჭრილა და თავისი საქმეც კარგად გამოუვიდა.

იქნებ საკვირველია, მაგრამ მეოთხედფინალში გასვლა ყველაზე მეტად „არსენალს" გაუჭირდა: 120-წუთიანი უგოლო თამაში „შეფილდ იუნაიტედთან" და მერე მეკარე მანუელ ალმუნიას გმირობა პენალტების სერიაში. ესპანელმა ორი დარტყმა მოიგერია და საბოლოოდ „არსენალმა" 4:2 მოიგო. „მეთოფეებს" საერთოდაც გაურკვეველი აქვთ პირველი მეკარის საკითხი: დეკემბერში ალმუნიამ იენს ლემანი ამოაგდო ძირითადიდან, მერე ისევ ლემანმა ამოაგდო ალმუნია. ახლა კი ისეთი პირი უჩანს, რომ სეზონის ბოლომდე კარს ისევ ესპანელი დაიცავს.

ირაკლი გამყრელიძე

მეოთხედფინალის ფინიში

საუთჰემპტონი — მანჩესტერი
ბოლტონი — არსენალი
ბლეკბერნი — ლესტერი
ნიუკასლი — ტოტენჰემი ან ნოტინგემი

მატჩები გაიმართება 12-13 მარტს

დაღლილი არ უნდა დაინდო



კლერმონი — ლიონი. მეკარე ვენსან ბუშარმა ჩინებული თამაშით პატარა „კლერმონი" გაახარა

საფრანგეთი

თასის მეოთხედფინალი

კლერმონი 1:დ.დ.(პენ.4:3, 1:1) ლიონი
1:0 ბ. როდრიგესი (54), 1:1 ვილტორდი (90)

ნიმი 4:0 ნიცა
1:0 დ. კულიბალი (18), 2:0 ვერშავე (36), 3:0 იამისი (66), 4:0 ვერშავე (72)

სედანი 2:0 კევილი
1:0 საბინი (52), 2:0 მოკაკე (72)

„კლერმონი" გუშინწინ მეორე ფრანგული გუნდი გახდა „ლილის" შემდეგ, რომელმაც ამ სეზონში ჩემპიონ „ლიონს" მოუგო. მეორე დივიზიონელმა კლუბმა მეკარე ვენსან ბუშარის წყალობით პენალტების სერიაში აჯობა პოლ ლე გუენის გუნდს და თასის მეოთხედფინალში გავიდა. აღსანიშნავია, რომ ლიგის თასის პირველ ეტაპზე „ლიონი" „ლილთანაც" პენალტებით დამარცხდა.

„ეს გამოსაფხიზლებელი ალიყურია — თქვა ლიონელთა ბრაზილიელმა ჟუნინიომ — მძიმე კვირა გვქონდა, „ვერდერთან" და „სენტ ეტიენთან" მატჩებმა ცოტა დაგვღალა, მაგრამ მარცხს ამით ვერ გავამართლებ. ფაქტია, „კლერმონმა" ჩვენზე უკეთესად ითამაშა. ახლა „კაენთან" და „ვერდერთან" შეხვედრისთვის უნდა მოვემზადოთ".

„ძალიან რთული მატჩი იყო — ეს კი „ლიონის" მწვრთნელ პოლ ლე გუენის სიტყვებია — 120 წუთი ვითამაშეთ, წავაგეთ, თან სიდნეი გოვუც დაგვიშავდა, რომელიც ზეგ, „კაენთან" ალბათ ვერ დაგვეხმარება. ჩემმა ფეხბურთელებმა საკმაოდ საგოლე მომენტები შექმნეს, მაგრამ ამაოდ".

მასპინძელთა ფორვარდმა ბრუნო როდრიგესმა მეორე ტაიმის დასაწყისში ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში, სილვენ ვილტორდმა კი ძირითადი დროის ბოლო წუთზე გაათანაბრა.

დამატებითი დრო უგოლოდ მიილია, ხოლო თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიაში ვენსან ბუშარმა ლიონელ პიერ-ალან ფროსა და სილვენ ვილტორდის პენალტები მოიგერია.

უარესი დაემართა ლაჟვარდოვანი სანაპიროს „ნიცას", რომელმაც მესამე დივიზიონის „ნიმთან" 0:4 წააგო. მეცხრამეტე წუთზე კულიბალიმ ნიმელები დააწინაურა, მალე ანგარიშში სხვაობა ვერშავემ ორამდე გაზარდა. ნიცელთა მწვრთნელმა ჟერნო რორმა შესვენებისას 19 წლის ბრაზილიელი ედერსონი შეუშვა, მაგრამ მისი თამაშით უკმაყოფილო თავკაცმა ყმაწვილკაცი მალე მარამა ვაირუათი შეცვალა. ლაჟვარდოვანი სანაპიროდან ნიმში ჩასულ სტუმრებს ამანაც ვერ უშველა. იამისიმ მესამე გოლი მიითვალა, ვერშავემ კი ექვსიოდ წუთში მეოთხე მიაყოლა.

გასულ უქმეებზე, ჩემპიონატში „მონაკოს" დამარცხების (2:1) შემდეგ, „ნიცას" მწვრთნელს აღმერთებდნენ, „ნიმთან" წაგების მერე კი გერმანელი თავკაცი მიწაზე დაუშვეს. ჟერნო რორის სკამი შეირყა, თუმცა თავად წასვლას არ აპირებს: „ჩემი გაშვება უნდათ? ამ მომენტისთვის ეს მთავარი არაა. ვაღიარებ „ნიმის" უპირატესობას, ჩვენ ვერ შევძელით მეტოქის დამარცხება თუ არ გვქონდა ამის შნო და უნარი".

„ნიცას" პრეზიდენტმა მორის კოენმა ნამატჩევს განაცხადა: „შედეგი, რასაკვირველია, დასანანაია, თუმც მე არ გავბრაზებულვარ. ცხელ გულზე არ მსურს ჟერნო რორის გათავისუფლებაზე ლაპარაკი. მირჩევნია, დავწყნარდე და მერე მოვიფიქრო".

ამასობაში, მეორე დივიზიონელმა „სედანმა" უსახელო, მეოთხელიგელი „კევილი" მეორე ტაიმში გატანილი წყვილი გოლით დაამარცხა და მეოთხედფინალშიც იოლად გაძვრა.

ვაჟა ხუციშვილი

REUTERS ბარსელონიდან

რონალდინიოს ეს ჯარიმაც უშედეგო იყო

კამენიმ ბარსელონა კამპ ნოუზე გააქვავა

ესპანეთი
პრიმერა დივიზიონი
XXVI ტური

ბარსელონა 0:0 ესპანიოლი

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი (სილვინიო 74), ხავი, ხერარდი (ინიესტა 46), დეკო, რონალდინიო, მაქსი ლოპესი (ბელეტი 46), ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ესპანიოლი: კამენი, იბარა, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, ხარკე, იტო, ფრედსონი, მაქსი როდრიგესი (მორალესი 87), დანი (კორო 78), ოსკარ სერანო (დომი 63)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: დავიდ გარსია, დეკო, იტო, ოსკარ სერანო, ლოპო, რონალდინიო
გაძევება: ხარკე (66)
მსაჯი: პერეს ლასა
90 000 მაყურებელი

კატალონიელები, უგოლო ბარსელონური დერბის მერე, ერთხმად და უპირობოდ ასახელებენ „ესპანიოლის“ კამერუნელ მეკარე კარლოს კამენის მატჩის გმირად. ვეჭვობთ, რომ ამ მოსაზრების სისწორეში ვინმემ ეჭვი შეიტანოს.

სტატისტიკა გვამცნობს, რომ „ბარსელონას“ 13-ჯერ დაურტყამს „ესპანიოლის“ კარის მიმართულებით. ამათგან 7-ჯერ ბურთი კარის ჩარჩოში წასულა და ამათგან ექვს ეპიზოდში კამენი შეუდარებელი იყო — მარტო სამუელ ეტოოს კამენიმ სამჯერ დააკარგვინა გოლის გატანის უნაღდესი შანსი.

მოკლედ, კამერუნელის წვლილი „კამპ ნოუდან“ წაღებულ ქულაში მით უფრო დასაფასებელია, რომ „ესპანიოლმა“ თამაში 10 ფეხბურთელით ჩაამთავრა.

და რას აკეთებდა მთელი მატჩის განმავლობაში „ბარსას“ მეკარე ვიქტორ ვალდესი? აბსოლუტურად არაფერს. მის კართან ერთი ხეირიანი მომენტიც არ შექმნილა, მეკარეს ოდნავ ოფლის მოდენის საშუალება მაინც რომ მისცემოდა.

ერთი სიტყვით, „ესპანიოლმა“ დერბიში ქულა მოიპოვა, „ბარსამ“ კი ორი ქულა დაკარგა — ზედიზედ მეორე მატჩში, წინა ტურში ხომ ფრანკ რაიკარდის გუნდმა „ნუმანსიას“ ვერ მოუგო.

კოტე კეკელია

შეურაცხყოფა ფული ღირს, ძმაო
არაგონესის სამი ათასი



ესპანელ ლუის არაგონესს ფრანგი ტიერი ანრის რასისტული შეურაცხყოფა 3 000 ევროდ დაუჯდა. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლონდონის „არსენალის“ მეგოლეს ხოსე ანტონიო რეიესთან საუბარში „შავი მაიმუნი“ უწოდა.

ამის შემდეგ არაგონესმა თავისი ნათქვამი არაერთხელ ახსნა და განმარტა, ანრის შეურაცხყოფას არ ვაპირებდიო, მაგრამ საქმე მაინც გაირჩა. გარჩევისას ვარაუდობდნენ, რომ მწვრთნელს 22 ათასი ევროთი დაუჯარიმებდნენ ან სამუშაოდან გაათავისუფლებდნენ, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად, სამი ათასი ევროთი კი დასრულდა.

„დასჯილმა“ ლუის არაგონესმა განაცხადა: „ჩემი აზრით, ტყუილად დამაჯარიმეს, ცუდი არაფერი ჩამიდენია, მაგრამ რაკი ასე გადაწყვიტეს, ვერ შევეწინააღმდეგები“.

ბოლოს იმასაც შეგახსენებთ, რომ არაგონესის თქმით, მან ანრის „შავი მაიმუნი“ შეურაცხყოფის მიზნით კი არა, ხუმრობით, რეიესის გასამხნევებლად უწოდა.

ვაჟა ხუციშვილი

შალკე ჰანოვერს არ ეხუმრება

გერმანია
თასის მეოთხედფინალი

ბაიერნი (მ) 0:3 ვერდერი
0:1 ბოროვსკი (8), 0:2 ისმაელი (233), 0:3 ბოროვსკი (60)
არმინია 1:0 ჰანზა
1:0 ბოაკიე (54)
შალკე 3:1 ჰანოვერი
0:1 კრუპნიკოვიჩი (273), 1:1 ასამოა (39), 2:1, 3:1 ჰანკე (42, 53)

შალკე — ჰანოვერი. მაიკ ჰანკემ სტუმართა მეკარე ორჯერ დაჯაბნა

აი, დამთხვევა: გელზენკირხენის „შალკემ“ ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ჰანოვერს“ გასულ კვირა საღამოს 1:0 მოუგო, ამ მატჩის დამთავრებიდან 51 საათში კი ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად გერმანიის თასის მეოთხედფინალში. „ჰანოვერი“ 27-ე წუთზე პენალტით დაწინაურდა — ჰოოგლანდმა კრუპნიკოვიჩი წააქცია და თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა თავად ფეხამოკრულმა იკისრა.

ამის შემდეგ „შალკე“ მეტოქეს უფრო გაშმაგებით მიაწვა და ჯერალდ ასამომ კრისტიან პანდერის წამოწყებული შეტევის შედეგად იხეირა. პანდერის ჩაწოდებული სტუმართა მეკარე რობერტ ენკემ ფეხით მოიგერია, ასამომ კი დასწრებაზე ითამაშა და ანგარიში ასე გაათანაბრა.

ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე კი მაიკ ჰანკემ ახლოდან დარტყმით „შალკე“ დააწინაურა, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისში მანვე მესამე გოლი მიითვალა და „ხუმარებსაც“ მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა — მიუხედავად იმისა, რომ „ჰანოვერი“ მონდომებით უტევდა ფრანკ როსტის კარს — არ გასჭირვებიათ.

თასის მფლობელმა ბრემენის „ვერდერმა“ იოლად სძლია მიუნხენის „ბაიერნის“ მოყვარულთა გუნდს, რომლის შემადგენლობაში თომას ლინკე, ალექსანდრ ციკლერი და პაულო გერეროც თამაშობდნენ.

ბრემენელმა ტიმ ბოროვსკიმ შეხვედრის დასაწყისშივე გახსნა ანგარიში, ხოლო ვალერიან ისმაელმა პირველივე ტაიმში პენალტით მეორე გოლი შეაგდო მოყვარულ ბავარიელთა კარში. შესვენების შემდეგ იმავ ბოროვსკიმ საჯარიმო დარტყმით იხეირა და სხვაობა სამამდე გაზარდა, „ვერდერი“ კი საბოლოოდ ნახევარფინალში გავიდა.

ბილეფელდის „არმინიამ“ როსტოკის „ჰანზას“ განელი ფორვარდის, ისაკ ბოაკიეს გოლის წყალობით სძლია და ნახევარფინალში პირველად გააღწია. თოვლისგან გაცულებულ მოედანზე თამაში ჭირდა, მაგრამ მასპინძელია მეგოლემ მაინც შეძლო მეტოქის კარში ბურთის შეგდება და „არმინიაც“ გერმანიის თასის ფინალს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა.

ვაჟა ხუციშვილი

გინდა? მიბრძანდი, ბატონო
აილტონმა შინაურები მოიმდურა



აილტონმა „შალკედან“ წასვლა მოულოდნელად ისურვა

„შალკეს“ მეკარე და კაპიტანი ფრანკ როსტი აილტონის განცხადებამ გააბრაზა. ბრაზილიელმა ფორვარდმა ორიოდ დღის წინ თქვა, 2006 წლის ბოლოს კლუბთან კონტრაქტს არ გავაგრძელებ და ალბათ აქედან ავიბარგები, კარიერას ყატარში, იაპონიაში ან კვლავ ბრემენის „ვერდერში“ გავაგრძელებო.

როსტს აილტონის ნათქვამი ეწყინა: „მთელი გუნდი იმისთვის მუშაობს, რომ მან გოლი გაიტანოს. რა გაეწყობა, ახლა მისი ამ ნათქვამის შემდეგ ყველანი გაცილებით მეტს მოვითხოვთ აილტონისგან“.

ცხადია, ბრაზილიელის წამოყრანტალებული უკომენტაროდ არც „ხუმარების“ პრეზიდენტმა რუდი ასაურმა დატოვა, რომელმაც როსტზე მეტად აშკარად გაბრაზებული ტონით აილტონს შეუთვალა: „მას შეუძლია წავიდეს, თუკი ასე ძალიან სურს“.

ვაჟა ხუციშვილი

ბურთის ქალაქში

100 იუბილარი

„ნორვიჩის“ თავმჯდომარე ჯეფრი უეტლინგს დანფონ ფორბსი სიხარულისგან ათრობს

საფეხბურთო წიგნებსა და ინტერნეტ საიტებში წერია, რომ „ნორვიჩ სიტი“ 1905 წლის 3 მარტს დაარსებულა, ეს კი ნიშნავს, რომ დღეს „ნორვიჩი“ 100 წლისა მოიყარა. თუმცა დაარსების თარიღთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი დაზუსტებას მოითხოვს და ჩვენც კლუბის ისტორიის მოთხრობა ამით დავიწყოთ.

1905 წლის 3 მარტი „ნორვიჩ სიტის“ პროფესიულ კლუბად ჩამოყალიბების თარიღია, თუმც ამ ქალაქში ფეხბურთის პიონერები ბურთს იქამდე ბევრი წლით ადრეც აგორებდნენ. ასე, მაგალითად, ისტორიას შემოუნახავს ჯერ კიდევ 1882 წლის მარტში ჩატარებული მატჩის ოქმი, რომელშიაც ნორფოლფისა და ნორვიჩის გაერთიანებულ გუნდს ლეკენჰემში, 1000 მაყურებლის თვალწინ 3:1 მოუგია „კინგს ლინისთვის“.

არსებობს 1868 წლის ჩანაწერებიც, რომლის თანახმადაც ნორვიჩში ბურთაობის დროს გუნდებს 14-14 ფეხბურთელი ჰყოლიათ მოედანზე.

ორგანიზებული სახე კი ნორვიჩულმა ფეხბურთმა 1902 წლის 17 ივნისს, სამშაბათ დღეს, უაით ლაიონ სტრიტზე, კაფე „კრიტერიონში“ მიიღო. ამ შეკრების მოთავე გახლდათ რობერტ ვებსტერი, ვინაც კლუბის თავმჯდომარეობის გარდა, გუნდის კაპიტანიც იყო.

1905 წლის 3 მარტს კი „აგრიქალჩერალ ჰოლში“ დიდ სახალხო კრებაზე „ნორვიჩ სიტი“, როგორც მოგახსენეთ, პროფესიულ კლუბად ჩამოყალიბდა. ამავე კრებაზე დაამტკიცეს კლუბის ჰიმნიც, რომელსაც „ბურთის ქალაქში“ ჰქვია. ამავე დროინდელია „ნორვიჩ სიტის“ მეტსახელი — „იადონები“, თუმც კლუბს სხვა მეტსახელიც აქვს — „მოქალაქეები“.

იმ ძველ დროში, „ნორვიჩი“ სამხრეთ ლიგაში თამაშობდა, 1920-ში კი რეგიონული ლიგების გაერთიანების მერე, „ნორვიჩი“ ახლანდელ მესამე დივიზიონში აღმოჩნდა.

იმ ძველ დროში ბევრი უცნაური და სახალისო ამბებიც ხდებოდა. ასე მაგალითად, 1914-15 წლების ასოციაციის თასის მესამე ეტაპის გათამაშებაში „ნორვიჩი“ ნეიტრალურ მოედანზე, ლინკოლნში, „ბრედფორდს“ ხვდებოდა. გაგანია მსოფლიო ომი იყო და მთელი ინგლისური მრეწველობა სამხედრო შეკვეთებზე მუშაობდა. ფეხბურთის მამებმაც გადაწყვიტეს, აქაოდა, ქარხნის მუშები საქმეს არ მოწყდნენ, თამაში ცარიელ სტადიონზე ჩავატაროთო, მაგრამ მუშებმა გაფიცვა მოაწყვეს, ქარხანა მიატოვეს და სტადიონზეც ძალით შეიჭრნენ.

20-იან წლებში „ნორვიჩი“ არაფრით გამორჩეული გუნდი იყო და ერთავად ცხრილის შუაგულში ტრიალებდა, ვერც მაღალ ლიგაში გადადიოდა და არც დაქვეითება ემუქრებოდა.

30-იანებში ვითარება შეიცვალა. 1930 წლის 15 მარტს „ნორვიჩმა“ თავის ისტორიაში დღემდე დაუმხობელი რეკორდი დაამყარა — „ქოვენთრის“ 10:2 მოუგო. მომდევნო სეზონში გუნდი მესამე ადგილზე გავიდა. ნათელი იყო, რომ ცოტაც და, ძალამოკრეფილი „ნორვიჩი“ მეორე დივიზიონში აღზევდებოდა, ყველაფერს კი გუნდის ლეგენდარული მენეჯერის, ჯიმი კერის გამჭრიახობას მიაწერდნენ. მაგრამ 1933-ის თებერვალში უბედურება დატრიალდა, კერი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ერთი წლის მერე კი „ნორვიჩი“ მეორე დივიზიონში ტომ პარკერის მენეჯერობით გადავიდა.

იმ დროს ნორვიჩში ნამდვილი საფეხბურთო ბუმი იყო და ძველი სტადიონი ხალხს ვერ იტევდა. ახალი სტადიონი 1935 წელს აშენდა სარეკორდო დროში — მშენებლობას სულ რაღაც 82 დღე დასჭირდა.

მაგრამ გუნდმა ნელ-ნელა უკლო და 39-ში ისევ მესამე დივიზიონში დაქვეითდა. დაქვეითებამდე, 1938 წლის 29 ოქტომბერს კლუბის ისტორიაში ერთადერთხელ მოხდა, რომ მის თამაშს ინგლისის მეფე დაესწრო. „ნორვიჩმა“ გეორგ VI-ის წინაშე თავი ვერ ისახელა, ჯონ მილბერნმა პენალტი გააცუდა და ნორვიჩელები „პლიმუთთან“ დამარცხდნენ.

მერე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ჩემპიონატი შეწყვეტილი იყო და სხვა გუნდების მსგავსად „ნორვიჩიც“ ამხანაგური მატჩებით ირთობდა თავს — ერთხელ „ბრაიტონს“ 18:0 მოუგო.

ომისშემდგომ 14 წელიწადს, თქვენის ნებართვით გამოვტოვებთ, რაკი ამ პერიოდზე სათქმელიც არაფერია. „ნორვიჩი“ კვლავაც მე-3 დივიზიონში ბოგინობდა. 1959-იდან კი კლუბში ახალი ერა დაიწყო.

ახალი ერის დაწყების პირველი ნიშანი არც მეტი, არც ნაკლები მატ ბასბის დიდებული „მანჩესტერის“ 3:0 დამარცხება იყო ასოციაციის თასზე და გუნდმაც ნახევარფინალს უწია. მომდევნო სეზონში კი „ნორვიჩი“ ისევ მეორე დივიზიონს დაუბრუნდა.

მალევე, 1962-ში „ნორვიჩმა“ თავისი პირველი დიდი ჯილდო, ლიგის თასი მოიგო. იმხანად, ლიგის თასის ფინალი ორმატჩა იყო, თუმც თასის მფლობელის ბედი ფაქტობრივად პირველივე მატჩის მერე გაირკვა, როცა „ნორვიჩმა“ სტუმრად 3:0 მოუგო „როჩდეილს“ და მერე შინაც დაამარცხა. ამ დიდ გამარჯვებას ვერც იმ გარემოებამ მიაყენა ჩრდილი, რომ „როჩდეილი“ იმხანად მეოთხე დივიზიონის გუნდი იყო.

ფოტო, რომელზეც შიშველი ჯეელი ხნიერ კაცს ღვინოს აძალებს, სათასო ტრიუმფიდან ათი წლის მერეა გადაღებული „ნორვიჩის“ გასახდელში. ჯეელი ფეხბურთელი დანფონ ფორბსია, ხნიერი კაცი კი კლუბის თავმჯდომარე ჯეფრი უეტლინგი გახლავთ. რა უხარიათ? „ნორვიჩი“ თავის ისტორიაში პირველად აღზევდა პირველ დივიზიონში, ახლანდელი პრემიერლიგის ტოლფას ლიგაში.

მას აქეთ 32 წელი გავიდა და „ნორვიჩი“ ახლაც უმაღლეს ინგლისურ ლიგაშია. თუმცა, ცხადია, „ნორვიჩი“ ის გუნდი არ არის, მთელი 32 წელი უმაღლეს დონეზე ეთამაშოს. მუდმივად ადგილის შენარჩუნებაზე უწევდა ზრუნვა და ოთხჯერ დაქვეითდა კიდეც. ყველაზე მეტხანს უმაღლესში მეოთხედ აღზევებისას გაძლო — 9 წელი. საუკეთესო შედეგი კი 1992-93 წლების სეზონში ჰქონდა, როცა პრემიერლიგის დაარსების პირველსავე სეზონში მესამე ადგილზე გავიდა მეტად უცნაური შედეგით — მესამეადგილოსან გუნდს ბურთების უარყოფითი შედეგი აღმოჩნდა.

მეორე და ჯერჯერობით ბოლო ჯილდო კი „ნორვიჩმა“ ოცი წლის წინ მოიგო. ისევ ლიგის თასის ფინალში ნორვიჩელებმა „სანდერლენდს“ 1:0 მოუგეს.

ირაკლი ნინიძე

ჰოლანდიური „აიაქსი“ ისევ მწვრთნელის ძიებაშია. ამსტერდამელებმა ცივი უარი მიიღეს იოჰან კრუიფისგან. რონალდ კუმანის შეცვლა არც მარტინ იოლმა ისურვა. „ლონდონში ბედნიერი ვარ და აქედან წასვლას არ ვაპირებ“ — თქვა „ტოტენჰემის“ დამრიგებელმა. ზუსტად ანალოგიური შინაარსის განცხადება გააკეთა სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ჩეხმა თავკაცმა ვლასტიმილ პეტრუელამაც.

ესპანური „დეპორტივოს“ გამოცდილი ნახევარმცველი ფრანი სეზონის დასრულების შემდეგ გუნდს დატოვებს. იგი უკვე მე-20 წელია, ლაკორუნიელთა რიგებშია, მაგრამ უფროსობასთან ურთიერთობა სწორედ ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებისას გაფუჭებია. როგორც ირკვევა, მას „დეპორის“ პრეზიდენტ აუგუსტო სესარ ლენდოიროსთან ერთი წელი არ უსაუბრია. „მეთორმეტე თვეა, ერთმანეთისთვის სიტყვაც არ გვითქვამს. ეს ცხადია, არ მახარებს, მაგრამ მერწმუნეთ, მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია“ — აღნიშნა ვეტერანმა ფეხბურთელმა.

ინგლისური „ჩელსის“ ფორვარდი დიდიე დროგბა დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი პრემიერლიგას მოიგებს. „ჩვენ უკვე მოვიპოვეთ ერთი ტიტული, რადგანაც საუკეთესოები ვართ. „მანჩესტერს“ 6 ქულით ვუსწრებთ და თამაშიც ნაკლები გვაქვს მათთან შედარებით. საგრძნობლად ჩამოგვრჩება „არსენალიც“. ისინი მართლაც კარგად გამოიყურებიან და ნელ-ნელა უმატებენ, მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერი გუნდი გვყავს“ — განაცხადა დროგბამ.

გერმანული „დორტმუნდის“ ჩეხმა ფორვარდმა იან კოლერმა 3 დღე საავადმყოფოში გაატარა. ექიმები ეჭვობდნენ, რომ მას პნევმონია ჰქონდა, მაგრამ საქმე არც ისე სერიოზულადაა, როგორც ვარაუდობდნენ. კოლერს მკურნალობის კურსი მაინც სჭირდება. იგი მომავალ უქმეებზე „ნიურნბერგთან“ შეხვედრას გამოტოვებს. „კარგია, რომ დროზე მოვახდინეთ რეაგირება. იმედია, მალე ბოლომდე მოვმჯობინდები“ — თქვა თავდამსხმელმა.

ესპანური „რეალის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჯონათან ვუდგეიტი მიმდინარე სეზონში მინდორზე ვერ გავა. 25 წლის ინგლისელს ტრავმა გაუმიზეზდა. შეგახსენებთ, რომ მას ისედაც რამდენიმე თვე არ უთამაშია და დაბრუნებას მარტის ბოლოსთვის მაინც გეგმავდა, მაგრამ ინგლისელის მადრიდული დებიუტი დიდი ხნით გადაიდო.

გერმანულმა „კაიზერსლაუტერნმა“ ალბანელ ნახევარმცველ ერვინ შკელასთან წინასწარ შეთანხმებას მიაღწია. სეზონის ბოლოს 28 წლის ფეხბურთელი ბილეფილდის „არმინიასთან“ კონტრაქტს აღარ გაახანგრძლივებს და „წითელ ეშმაკებს“ თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდება. შკელა, რომელსაც ფრანკფურტის „აინტრახტშიც“ უბურთავია, „ლაუტერნში“ 2009 წლამდე ითამაშებს.

ინგლისური „ჩელსის“ ნახევარმცველი არიენ რობენი ყველანაირად ცდილობს, „ბარსელონასთან“ საპასუხო მატჩისთვის მწყობრში ჩადგეს. „ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ბოლო წუთამდე ვიბრძოლებ. ჩემი შანსი დაახლოებით 10 პროცენტია, მაგრამ მთავარია, რომ არის, თუმც გარისკვას არ ვაპირებ, რადგან ამას შეიძლება ბევრად უარესი ტრავმა მოჰყვეს“ — აღნიშნა ჰოლანდიელმა.

Copa Toyota Libertadores '2005

ლიბერტადორესის თასი 2005

I ჯგუფი. II ტური

ატლ. პარანენსე (ბრაზილია) 1:0 ლიბერტადი (პარაგვაი)

ამერიკა (კოლუმბია)	2	2	0	0	3:1	6
ატლ. პარანენსე (ბრაზილია)	2	1	1	0	3:2	4
ინდეპენდიენტე (კოლუმბია)	2	0	1	1	2:3	1
ლიბერტადი (პარაგვაი)	2	0	0	2	1:3	0

V ჯგუფი. II ტური

ატლ. ხუნიორი (კოლუმბია) 2:0 ოლმედო (ეკვადორი)

ატლ.ხუნიორი (კოლუმბია)	2	2	0	0	3:0	6
რივერ პლეიტი (არგენტინა)	1	1	0	0	3:2	3
ნასიონალი (ურუგვაი)	1	0	0	1	0:1	0
ოლმედო (ეკვადორი)	2	0	0	2	2:5	0

VI ჯგუფი. III ტური

ალიანსა (პერუ) 2:1 კარაკასი (ვენესუელა)

ტიგრესი (მექსიკა)	2	1	1	0	3:1	4
ბანფილდი (არგენტინა)	2	1	1	0	4:3	4
ალიანსა (პერუ)	3	1	1	1	4:4	4
კარაკასი (ვენესუელა)	3	0	1	2	3:6	1

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		5 მარტი						
15:45	2	ასტონ ვილა-მიდლსბრო	2.35	3.2	2.85	1.35	1.28	1.5
18:00	3	კრ. პალასი-მანჩესტერი	5.0	3.7	1.6	2.12	1.21	1.11
18:00	4	კრ. პალასი-მანჩესტერი1:0	1.95	3.3	2.45			
18:00	5	არსენალი-პორტსმუთი	1.3	4.6	9.0	1.01	1.13	3.04
18:00	6	არსენალი-პორტსმუთი 0:1	1.65	4.0	2.7			
18:00	7	ნიუკასლი-ლივერპული	2.5	3.2	2.65	1.4	1.28	1.44
18:00	8	საუთჰემპტონი-ტოტენჰემი	2.45	3.3	2.65	1.4	1.27	1.46
18:00	9	ფულემი-ჩარლტონი	2.35	3.3	2.75	1.37	1.26	1.5
20:15	10	ნორვიჩი-ჩელსი	6.5	4.0	1.45	2.47	1.18	1.06
20:15	11	ნორვიჩი-ჩელსი 1:0	2.05	3.5	2.2			
		6 მარტი						
15:00	12	ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი	2.5	3.3	2.6	1.42	1.27	1.45
19:05	13	ევერტონი-ბლექბერნი	1.7	3.3	4.85	1.12	1.25	1.96
		7 მარტი						
23:00	14	სიტი-ბოლტონი	2.3	3.3	2.85	1.35	1.27	1.52
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		4 მარტი						
22:45	16	ბარნლი-სანდერლენდი	2.8	3.3	2.25	1.51	1.24	1.33
		5 მარტი						
18:00	17	დერბი-პლიმუთი	1.6	3.4	5.0	1.08	1.21	2.02
18:00	18	ლესტერი-ნოტინგემი	1.8	3.3	4.0	1.16	1.24	1.8
18:00	19	ქპრ-რედინგი	2.15	3.3	3.0	1.3	1.25	1.57
18:00	20	სტოკი-ბრაიტონი	1.9	3.3	3.7	1.2	1.25	1.74
18:00	21	ვესტ ჰემი-პრესტონი	1.95	3.3	3.5	1.22	1.25	1.69
18:00	22	უიგანი-იფსვიჩი	2.1	3.3	3.2	1.28	1.26	1.62
18:00	23	უოტფორდი-ქოვენთრი	1.85	3.3	3.8	1.18	1.24	1.76
18:00	24	როტერჰემი-ჯილინგემი	2.55	3.3	2.45	1.43	1.24	1.4
18:00	25	ქრიუ-ვულვერჰემპტონი	2.4	3.1	2.7	1.35	1.27	1.44
18:00	26	კარდიფი-შეფილდი	2.45	3.3	2.55	1.4	1.24	1.43
		6 მარტი						
17:00	27	მილუოლი-ლიდსი	2.3	3.3	2.7	1.35	1.24	1.48
		ინგლისი. I ლიგა						
		5 მარტი						
18:00	28	ჰარტლპული-რექსემი	1.55	3.5	5.6	1.07	1.21	2.15
18:00	29	ბრედფორდი-ჰადერსფილდი	2.0	3.3	3.3	1.24	1.24	1.64
18:00	30	ბლეკპული-უოლსოლი	2.1	3.2	3.1	1.26	1.25	1.57
18:00	31	კოლჩესტერი-ბრენტფორდი	2.35	3.3	2.7	1.37	1.25	1.48
18:00	32	სუინდონი-ბორნმუთი	2.1	3.3	3.1	1.28	1.25	1.59
18:00	33	ტრანმერი-ჰალი	2.2	3.2	3.0	1.3	1.26	1.54
18:00	34	ტორკი-ჩესტერფილდი	2.3	3.3	2.65	1.35	1.23	1.46
18:00	35	ოლდემი-პორტ ვეილი	2.3	3.3	2.7	1.35	1.24	1.48
18:00	36	პიტერბრო-ბარნსლი	2.35	3.2	2.7	1.35	1.25	1.46
18:00	37	ლუტონი-ბრისტოლი	1.75	3.3	4.3	1.14	1.24	1.86
18:00	38	დონსი-სტოკპორტი	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
		6 მარტი						
17:00	39	უენსდი-დონკასტერი	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
		ინგლისი. II ლიგა						
		5 მარტი						
18:00	42	ოქსფორდი-გრიმსბი	2.0	3.3	3.3	1.24	1.24	1.64
18:00	43	სკანთორპი-რაშდენი	1.5	3.5	6.5	1.04	1.21	2.27
18:00	44	ჩესტერი-საუთენდი	2.85	3.3	2.2	1.52	1.24	1.32
18:00	45	როვერსი-როჩდეილი	2.05	3.2	3.3	1.24	1.26	1.62
18:00	46	ბერი-კემბრიჯი	1.95	3.3	3.4	1.22	1.23	1.67
18:00	47	ლინკოლნი-უიკომბი	1.95	3.3	3.5	1.22	1.25	1.69
18:00	48	კიდერმინსტერი-ჩელტენემი	2.6	3.3	2.3	1.45	1.22	1.35
18:00	49	დარლინგტონი-ბოსტონი	1.9	3.3	3.7	1.2	1.25	1.74
18:00	50	იოვილი-ლეიტონი	1.55	3.5	5.8	1.07	1.22	2.18
18:00	51	მენსფილდი-შრიუსბერი	1.9	3.3	3.7	1.2	1.25	1.74
18:00	52	ნოტსი-სუონსი	2.6	3.3	2.4	1.45	1.24	1.38
18:00	53	ნორთჰემპტონი-მაკლსფილდი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
		ინგლისი. კონფერენსი						
		5 მარტი						
18:00	57	ალდერშოტი-ფარნბორო	1.4	4.0	6.5	1.03	1.15	2.47
18:00	58	ლეი-ბარნეტი	5.0	3.5	1.6	2.05	1.21	1.09
18:00	59	დაგ ენდ რედი-ტემუორთი	1.7	3.5	4.3	1.14	1.21	1.92
18:00	60	ბარტონი-კონვი	1.8	3.3	4.0	1.16	1.24	1.8
18:00	61	აკრინგტონი-ფორესტ გრინი	1.5	3.6	6.0	1.05	1.2	2.25
18:00	62	ქროული-ჰალიფაქსი	1.9	3.3	3.5	1.2	1.23	1.69
18:00	63	სტივენეიჯი-კარლაილი	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51
18:00	64	ნორთვიჩი-უოკინგი	2.5	3.2	2.45	1.4	1.23	1.38
18:00	65	იორკი-ექსეტერი	2.6	3.3	2.3	1.45	1.22	1.35
18:00	66	გრეივსენდი-სკარბორო	2.3	3.3	2.7	1.35	1.24	1.48
18:00	67	ჰერეფორდი-მორეკომბი	1.75	3.3	4.0	1.14	1.21	1.8
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		5 მარტი						
18:00	81	ფოლკირკი-პარტიკი	1.5	3.8	5.0	1.07	1.15	2.15
18:00	82	ქუინი-ერდრი	2.25	3.2	2.75	1.32	1.23	1.47
18:00	83	სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი	1.8	3.5	3.6	1.18	1.2	1.77
18:00	84	სტ.მირენი-კლაიდი	2.45	3.3	2.4	1.4	1.21	1.38
18:00	85	როსი-რეითი	1.55	3.6	4.8	1.08	1.17	2.05
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		5 მარტი						
18:00	86	სტირლინგი-ფორფარი	1.75	3.4	3.8	1.15	1.19	1.79
18:00	87	დამბარტონი-ბერიკი	1.95	3.4	3.1	1.23	1.19	1.62
18:00	88	ბრეჩინი-სტრანრარი	1.8	3.3	3.6	1.16	1.2	1.72
18:00	89	ეარი-ალოა	2.25	3.4	2.55	1.35	1.19	1.45
18:00	90	არბროთი-მორტონი	2.65	3.3	2.2	1.46	1.2	1.32
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		5 მარტი						
18:00	91	ალბიონი-მონტროზი	2.0	3.3	3.1	1.24	1.21	1.59
18:00	92	კოუდენბითი-გრეტნა	7.0	4.0	1.35	2.54	1.13	1.0
18:00	93	ისტ ფაიფი-პიტერჰედი	6.0	4.3	1.4	2.5	1.13	1.05
18:00	94	ქუინზ პარკი-სტენჰაუზმური	2.25	3.4	2.55	1.35	1.19	1.45
18:00	95	ელგინი-ისტ სტირლინგი	1.55	3.6	4.8	1.08	1.17	2.05
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		5 მარტი						
17:30	96	გლადბახი-ვოლფსბურგი	2.15	3.2	3.2	1.28	1.28	1.6
17:30	97	მაინცი-ფრაიბურგი	1.95	3.3	3.6	1.22	1.26	1.72
17:30	98	შტუტგარტი-არმინია	1.55	3.7	5.5	1.09	1.2	2.21
17:30	99	ჰამბურგი-ლევერკუზენი	2.2	3.3	3.0	1.32	1.26	1.57
17:30	100	ჰანოვერი-ჰანზა	1.6	3.6	5.2	1.1	1.22	2.12
17:30	101	ბოხუმი-შალკე	3.4	3.2	2.05	1.64	1.27	1.24
17:30	103	ბაიერნი-ვერდერი	1.75	3.5	4.2	1.16	1.23	1.9
		6 მარტი						
19:30	104	ჰერტა-კაიზერსლაუტერნი	1.7	3.5	4.6	1.14	1.24	1.98
19:30	105	ნიურნბერგი-დორტმუნდი	2.55	3.2	2.6	1.41	1.28	1.43

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაბაზისტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		5 მარტი						
20:30	134	ადმირა-პაშინგი	3.2	3.3	2.0	1.62	1.23	1.24
20:30	135	ბრეგენცი-მატერსბურგი	2.3	3.3	2.75	1.35	1.25	1.5
20:30	136	ტიროლი-გრაცერი	2.65	3.3	2.3	1.46	1.23	1.35
20:30	137	შტურმი-აუსტრია	3.8	3.4	1.8	1.79	1.22	1.17
		6 მარტი						
17:30	138	რაპიდი-ზალცბურგი	1.35	4.0	8.0	1.0	1.15	2.66
17:30	139	რაპიდი-ზალცბურგი0:1	1.7	3.8	2.7			
		ავსტრია. I დივიზიონი						
		4 მარტი						
21:00	140	უნტერზიბენბრიუნი-ლეობენი	2.7	3.1	2.35	1.44	1.25	1.33
21:00	141	ლინცერი-გრატკორნი	1.9	3.2	3.55	1.19	1.23	1.68
21:00	142	ვიორგლი-რიდი	3.8	3.2	1.85	1.73	1.24	1.17
21:00	143	კაფენბერგი-კერნტენი	2.2	3.2	2.9	1.3	1.25	1.52
21:00	144	ალტახი-აუსტრია(ლ)	2.75	3.1	2.3	1.45	1.25	1.32
		იტალია. სერია A						
		5 მარტი						
20:00	164	ატალანტა-მილანი	7.0	3.7	1.45	2.42	1.2	1.04
22:30	165	რომა-იუვენტუსი	2.65	3.1	2.55	1.42	1.29	1.39
		6 მარტი						
17:00	166	სიენა-ბრეშა	2.0	3.1	3.65	1.21	1.29	1.67
17:00	167	მესინა-ლაციო	2.4	3.0	2.9	1.33	1.31	1.47
17:00	168	პარმა-კალიარი	1.9	3.2	4.0	1.19	1.28	1.77
17:00	169	უდინეზე-ბოლონია	1.8	3.1	4.6	1.13	1.29	1.85
17:00	170	სამპდორია-კიევო	1.6	3.3	6.0	1.07	1.26	2.12
17:00	171	ფიორენტინა-რეჯინა	1.9	3.2	4.0	1.19	1.28	1.77
17:00	172	ინტერი-ლეჩე	1.3	4.3	8.5	1.0	1.12	2.85
17:00	173	ინტერი-ლეჩე0:1	1.8	3.8	2.45			
22:30	174	ლივორნო-პალერმო	2.65	3.0	2.6	1.4	1.31	1.39
		იტალია. სერია B						
		4 მარტი						
22:45	176	ბარი-კროტონე	1.75	2.9	5.0	1.09	1.29	1.83
6 მარტი								
17:00	177	ტრიესტინა-ტერნანა	2.35	2.7	3.1	1.25	1.33	1.44
17:00	178	პერუჯა-მოდენა	1.65	3.1	5.3	1.07	1.25	1.95
17:00	179	ასკოლი-ალბინოლეფე	1.7	3.0	5.1	1.08	1.27	1.88
17:00	180	არეცო-პესკარა	2.05	2.7	3.8	1.16	1.33	1.57
17:00	181	კატანია-ვერონა	2.15	2.7	3.6	1.19	1.34	1.54
17:00	182	ემპოლი-ვენეცია	1.4	3.5	8.0	1.0	1.19	2.43
17:00	183	კატანძარო-პიაჩენცა	2.6	2.8	2.65	1.34	1.31	1.36
17:00	184	ვიჩენცა-ჩეზენა	1.8	2.8	4.8	1.09	1.3	1.76
17:00	185	ტორინო-სალერნიტანა	1.5	3.3	7.0	1.03	1.23	2.24
		7 მარტი						
22:45	186	ტრევიზო-ვენეზია	2.65	2.6	2.85	1.31	1.37	1.35
		საფრანგეთი						
		I დივიზიონი						
		4 მარტი						
22:00	242	კაენი-ლიონი	4.5	3.1	1.8	1.83	1.28	1.13
		5 მარტი						
19:15	237	ლანსი-ოსერი	2.3	2.9	3.1	1.28	1.32	1.49
22:00	238	პსჟ-ნანტი	1.8	3.1	4.5	1.13	1.28	1.83
22:00	239	რენი-სოშო	2.0	2.9	3.8	1.18	1.31	1.64
22:00	240	მონაკო-მეცი	1.5	3.8	5.8	1.07	1.19	2.29
22:00	241	სტრასბური-აიაჩო	1.85	3.1	4.2	1.15	1.28	1.78
22:00	243	ბასტია-ლილი	2.7	2.8	2.65	1.37	1.33	1.36
22:00	244	ტულუზი-ნიცა	1.75	3.2	4.5	1.13	1.25	1.87
22:00	245	ისტრი-ბორდო	2.75	2.8	2.65	1.38	1.34	1.36
		6 მარტი						
23:00	246	სტ-ეტიენი-მარსელი	2.8	2.8	2.6	1.39	1.34	1.34
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		4 მარტი						
22:00	248	მონპელიე-რეიმსი	1.8	2.8	4.8	1.09	1.3	1.76
22:00	249	ბრესტი-ლე ავრი	1.85	2.8	4.5	1.11	1.31	1.72
22:00	250	ანჟე-ამიენი	2.3	2.7	3.2	1.24	1.33	1.46
22:00	251	დიუონი-კრეტეი	1.8	2.8	4.8	1.09	1.3	1.76
22:00	252	ტრუა-კლერმონი	1.6	3.2	5.5	1.06	1.23	2.02
22:00	253	სედანი-გენიონი	1.9	2.8	4.3	1.13	1.31	1.69
22:00	254	ლორიანი-ნიორი	1.9	2.8	4.3	1.13	1.31	1.69
22:30	255	ნანსი-გენგამი	1.65	3.2	5.0	1.08	1.24	1.95
		5 მარტი						
22:00	256	ლავალი-გრენობლი	2.1	2.7	3.65	1.18	1.33	1.55
		7 მარტი						
22:15	257	შატორუ-ლე მანი	2.25	2.7	3.3	1.22	1.33	1.48
		ბელგია. I დივიზიონი						
		4 მარტი						
22:30	258	ანდერლეხტი-შარლერუა	1.55	3.8	5.0	1.1	1.18	2.15
		5 მარტი						
20:00	259	სტანდარდი-ლუვიე	1.6	3.7	4.8	1.11	1.2	2.08
22:00	260	მონსი-სერკლი	1.85	3.3	4.0	1.18	1.26	1.8
22:00	261	გენტი-მუსკრონი	1.6	3.5	4.8	1.09	1.2	2.02
22:00	262	ბეერსხოტი-ვენკი	3.5	3.3	1.95	1.69	1.25	1.22
22:00	263	ბეევრენი-ოსტენდე	1.75	3.4	4.1	1.15	1.22	1.85
22:00	264	ბრიუგე-ბრიუსელი	1.15	6.0	10.0	1.0	1.03	3.75
22:00	265	ბრიუგე-ბრიუსელი0:1	1.35	4.5	3.7			
22:00	266	სტ.ტრუიდენი-ლიერსი	2.2	3.2	3.0	1.3	1.26	1.54
		6 მარტი						
17:00	267	ვესტერლო-ლოკერენი	2.0	3.3	3.2	1.24	1.23	1.62
		ჰოლანდია						
		I დივიზიონი						
		4 მარტი						
22:00	269	როზენდალი-ნაიმეგენი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
		5 მარტი						
21:30	270	დენ ჰააგი-ჰერენვენი	2.7	3.4	2.3	1.5	1.24	1.37
22:00	271	ვიტესი-ტილბურგი	1.7	3.5	4.3	1.14	1.21	1.92
22:00	272	ვალვაიკი-უტრეხტი	2.15	3.4	2.85	1.31	1.22	1.55
		6 მარტი						
14:30	273	ვრონინგენი-პსვ	5.0	3.5	1.6	2.05	1.21	1.09
16:30	275	აიაქსი-ალკმაარი	1.85	3.4	3.65	1.19	1.22	1.76
16:30	276	ვრააფსხაპი-ბრედა	2.35	3.3	2.65	1.37	1.24	1.46
16:30	277	დენ ბოსხი-ფეიენოორდი	7.0	4.5	1.35	2.73	1.13	1.03
18:30	278	როდა-ტვენტე	2.0	3.3	3.3	1.24	1.24	1.64
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		4 მარტი						
22:00	279	ზვოლე-ეინდჰოვენი	1.35	4.5	7.0	1.03	1.13	2.73
22:00	280	ექსელსიორი-პერაკლესი	2.8	3.4	2.2	1.53	1.23	1.33
22:00	281	ჰელმონდი-დორდრეხტი	1.9	3.5	3.4	1.23	1.21	1.72
22:00	282	ჰაარლემი-აპელდორნი	1.9	3.5	3.3	1.23	1.2	1.69
22:00	283	ემენი-სიტარდი	2.0	3.4	3.3	1.25	1.24	1.67
22:00	284	მაასტრიხტი-ვენლო	2.8	3.4	2.2	1.53	1.23	1.33
22:00	285	კამბური-სპარტა	2.65	3.4	2.3	1.48	1.23	1.37
		6 მარტი						
16:30	286	ვოლენდამი-ტელსტარი	1.75	3.5	3.9	1.16	1.2	1.84



			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:30	287	ოსი-ვეენდამი	2.25	3.4	2.7	1.35	1.22	1.5
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		4 მარტი						
23:45	292	ჟილ ვისენტე-გიმარაეში	2.35	3.2	2.8	1.35	1.27	1.49
		5 მარტი						
23:45	296	პენაფიელი-პორტუ	4.4	3.3	1.75	1.88	1.25	1.14
22:15	298	ეშტორილი-ბოავიშტა	3.0	3.2	2.2	1.54	1.26	1.3
		6 მარტი						
19:00	293	ლეირია-ბეირა მარი	1.75	3.2	4.5	1.13	1.25	1.87
21:30	294	ბელენენსეში-სპორტინგი	3.8	3.2	1.9	1.73	1.26	1.19
19:00	295	მარიტიმუ-აკადემიკა	1.55	3.4	6.0	1.06	1.23	2.17
23:45	297	ნასიონალი-ბენფიკა	3.4	3.2	2.0	1.64	1.25	1.23
19:00	299	რიუ ავე-მორეირენსე	1.7	3.3	5.0	1.12	1.26	1.98
		7 მარტი						
23:30	291	სეტუბალი-ბრაგა	2.35	3.2	2.8	1.35	1.27	1.49
		საბერძნეთი						
		6 მარტი						
18:00	309	აეკ-არისი	1.3	4.5	8.0	1.0	1.11	2.88
18:00	310	ირაკლისი-იონიკოსი	1.7	3.4	4.4	1.13	1.22	1.91
18:00	311	ოფი-კალითეა	1.8	3.2	4.3	1.15	1.26	1.83
18:00	312	პანიონიოსი-პანათინაიკოსი	4.5	3.3	1.7	1.9	1.23	1.12
18:00	313	პაოკ-ოლიმპიაკოსი	3.0	3.0	2.2	1.5	1.26	1.26
18:00	314	ხალკიდონა-ერგოტელისი	1.65	3.4	4.5	1.11	1.2	1.93
18:00	315	ქსანთი-ეგალეო	1.85	3.2	4.0	1.17	1.26	1.77
18:00	316	კერკირა-კალამარია	1.9	3.2	3.7	1.19	1.25	1.71
		ჰოლანდია. თასი						
		3 მარტი						
21:45	397	პსვ-ოსი	1.05	7.5	15.0	1.0	1.0	5.0
22:45	398	ფეიენოორდი-ბრედა	1.3	4.5	8.5	1.0	1.12	2.94
		პორტუგალია. თასი						
		3 მარტი						
23:45	402	ბენფიკა-ბეირა მარი	1.3	4.5	8.0	1.0	1.11	2.88

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		როიალ ლიგა						
		3 მარტი						
22:35	446	კოპენჰაგენი-რუსენბორგი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
22:35	447	ვოლერენგა-ვიოტებორგი	1.8	3.4	4.0	1.17	1.24	1.83
		ჰოკეი. ფინეთი						
		3 მარტი						
19:30	462	პელიკანსი-ესეტი	3.8	4.4	1.5	2.03	1.07	1.11
19:30	463	კერპეტი-ესპოო	1.4	4.6	4.3	1.07	1.05	2.22
19:30	464	ლუკო-იოკერიტი	2.3	4.1	2.1	1.47	1.09	1.38
19:30	465	ილვესი-სეიპა	1.35	4.6	5.0	1.04	1.06	2.39
19:30	466	ტურკუ-ჰაამეენლინა	2.0	4.2	2.4	1.35	1.09	1.52
19:30	467	ჰელსინკი-ტაპარა	1.5	4.2	4.0	1.1	1.09	2.04
		4 მარტი						
19:30	468	იოკერიტი-ჰელსინკი	1.75	4.2	2.9	1.23	1.09	1.71
		ჰოკეი. გერმანია						
		3 მარტი						
21:30	489	კასელი-დიუსელდორფი	2.35	4.0	2.1	1.48	1.1	1.37
		ჰოკეი. შვეიცარია						
		3 მარტი						
21:45	506	ციურიხი-ამბრი	1.5	4.5	3.8	1.12	1.07	2.06
21:45	507	ცუგი-სერვეტი	1.85	4.5	2.5	1.31	1.06	1.6
21:45	508	ლუგანო-ბერნი	1.55	4.5	3.5	1.15	1.07	1.96
21:45	509	დავოსი-რაპერსვილი	1.4	4.8	4.3	1.08	1.05	2.26
		ჰოკეი. რუსეთი						
		3 მარტი						
13:00	524	სპარტაკი-ავანგარდი	5.0	4.4	1.3	2.34	1.03	1.0
13:00	525	სიბირი-ასკ	1.95	4.5	2.2	1.36	1.03	1.47
13:00	526	ს.იულაევი-დინამო	3.8	4.5	1.4	2.06	1.02	1.06
13:00	527	ნეფტეხიმიკი-ცსკა	1.8	4.5	2.5	1.28	1.04	1.6
13:00	528	ნოვოუჭნეიკი-სევერსტალი	1.8	4.5	2.5	1.28	1.04	1.6
13:00	529	ლადა-მაგნიტოგორსკი	1.9	4.5	2.45	1.33	1.07	1.58
13:00	530	აკ ბარსი-მოლოტი	1.1	5.0	7.0	1.0	1.0	2.91
13:00	531	ლოკომოტივი-ხიმიკი	1.65	4.3	3.0	1.19	1.06	1.76

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ვერა ევროპის ტრამპლინია

ვაჟა კვარაცხელია ქართულ ნიჭს აგროვებს

ვაჟა კვარაცხელია ფოტოზე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელის ვაჟა კვარაცხელიას საქმოსნობის ამბავი ყველას მოგეხსენებათ. მისი მარიფათის წყალობით არაერთმა ქართველმა მოთამაშემ იპოვა ადგილი ევროპის წამყვან კლუბებში. კვარაცხელიას კარგი ნაცნობობა ჰყავს ევროპაში და მან გადაწყვიტა, ამ საშუამავლო საქმისთვის ოფიციალური სახე მიეცა. უკვე ნახევარი წელია, ვაჟა კვარაცხელია საქართველოში გახლავთ მსოფლიოში ცნობილი სატრანსფერო კომპანია „ინტეპელფორმაქსის" ოფიციალური წარმომადგენელი. ამ სააგენტოს სათავო ოფისი სან მარინოშია და მას წარმომადგენლობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქვს. „ინტეპელფორმაქსის" პრეზიდენტი საკალათბურთო სამყაროში ცნობილი აგენტი ლუჩანო კაპიტიონია, რომელიც მაისში საქართველოში ჩამოდის. თუ რატომ, ამაზე ვაჟა კვარაცხელია გვესაუბრება...

— „ინტეპელფორმაქსი" მსოფლიოში ცნობილი სააგენტოა, რომლის წარმომადგენელიც მე გახლავართ საქართველოში. ჩვენს კალათბურთის ფედერაციაში უკვე ოფიციალურად ვარ რეგისტრირებული, როგორც საკალათბურთო აგენტი.

— „ინტეპელფორმაქსი" მხოლოდ ევროპაში საქმიანობს?

— რა თქმა უნდა, არა. ამ სააგენტოს მთელ მსოფლიოში აქვს წარმომადგენლობები და ახლა უკვე საქართველოშიც. მაგალითად, რუსეთში „ინტეპელფორმაქსის" აგენტი ცნობილი კალათბურთელი ვლადიმერ ბაზარევიჩია. ლიტვაში ამ კომპანიას არვიდას საბონისის აკადემიასთან აქვს კონტრაქტი გაფორმებული. ამ სააგენტოს კლიენტები არიან კარლოს არაოი, ემანუელ ჯინობილი, ნიკოლოზ ცქიტიშვილი და სხვა არაერთი ნბა-ს მოთამაშე. „ინტეპელფორმაქსი" ძირითადად ნბა-ს არაამერიკელ მოთამაშეებზე მუშაობს, მისი წარმომადგენლობა კი ჩიკაგოში მდებარეობს.

— კონკრეტულად თქვენ რა გევალებათ და პროცედურულად როგორ ხდება ქართველთა უცხოურ კლუბებში მოწყობა?

— მე ვარ ჩვეულებრივი აგენტი, რომელიც საქართველოს ყველა პერსპექტიულ ახალგაზრდაზე ფლობს ინფორმაციას. ჩემი მოვალეობაა ამ ბიჭების სელექცია და მათი მონაცემების „ინტეპელფორმაქსისთვის" მიწოდება.

— ასაკობრივი ცენზი არაა გათვალისწინებული? ადრიან ასაკში საქართველოდან მოთამაშეთა გადინებას ხომ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ეწინააღმდეგება...

— რა თქმა უნდა, ფედერაციის მოთხოვნები გათვალისწინებულია. 18 წლამდე საქართველოდან უცხოეთში ვერავინ წავა ამ კომპანიის დახმარებით. „ინტეპელფორმაქსმა" ესეც გაითვალისწინა და აქ კლუბის შექმნას აპირებს, სადაც პერსპექტიული კალათბურთელები ითამაშებენ და უცხოეთში წასასვლელად მოემზადებიან.

— ამ კლუბის შესახებ უფრო კონკრეტულად რას გვეტყვით?

— ეს კლუბი უკვე არსებობს საცურაო აუზ „ლაგუნა ვერეს" ბაზაზე. მასში 14-15 წლის კალათბურთელები თამაშობენ და ეს გუნდი ბავშვთა ლიგაში გამოდის. მაისში თბილისში „ინტეპელფორმაქსის" პრეზიდენტი ლუჩანო კაპიტიონი ჩამოვა და „ლაგუნა ვერეს" ოფიციალური პრეზენტაციაც მოეწყობა. ანუ ეს კომპანია აკეთებს ამ გუნდს და ჩვენი მიზანია, „ლაგუნა ვერემ" უმაღლეს ლიგაში ითამაშოს. თავდაპირველად დუბლიორთა ჩემპიონატში ვითამაშებთ, მერე კი უმაღლესშიც გადავალთ.

— თქვენ იქნებით ამ კლუბის მწვრთნელი?

— დიახ, მე, თუმც სეზონის განმავლობაში „ლაგუნა ვერეში" უცხოელი მწვრთნელებიც ჩამოვლენ, რომლებსაც ხანმოკლე, სამთვიანი კონტრაქტები ექნებათ და ახალგაზრდების მიზანმიმართულად გაწვრთნაში დაგვეხმარებიან. ამ კლუბში მხოლოდ თინეიჯერები ითამაშებენ და ვინც თავს გამოიჩენს, მსოფლიოს წამყვან კლუბებში გზა ხსნილი ექნებათ.

— როგორ მოახერხებთ პერსპექტიული ახალგაზრდების ერთად თავმოყრას?

— „ლაგუნა ვერეს" ექნება იდეალური სავარჯიშო პირობები და საჭიროების შემთხვევაში მოთამაშეებს ხელფასიც დაენიშნებათ. ეს იქნება კარგი სატრანსფერო კომპანიის კლუბი და სავარაუდოდ მშობლებიც აქ მოიყვანენ თავიანთ შვილებს.

— გამოდის, ეს კლუბი იქნება ერთგვარი ტრამპლინი...

— რა თქმა უნდა. ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა და თითქმის ყველა წამყვან საკალათბურთო ქვეყანაში ასეთი კლუბები არაერთ სააგენტოს აქვს გახსნილი. „ინტეპელფორმაქსი" ირანშიც აყალიბებს ანალოგიურ კლუბს, იქ ამ კანტორის წარმომადგენელი გოდერძი კორძაძეა. „ინტეპელფორმაქსს" იტალიის სერია B-ში და ავსტრიულ ბუნდესლიგაშიც ჰყავს გუნდები, სადაც ამ ქვეყნების პერსპექტიულ მოთამაშეებს უყრის თავს.

— თქვენ სსუ-ს წვრთნით, მაგრამ ორი უმაღლესლიგური გუნდის თავკაცობა ხომ კანონითა აკრძალული?

— „ლაგუნა ვერე" ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ ამ საქმეში წარმატებას მივაღწევთ, გამორიცხული არაა, სსუ-ს მთავარ მწვრთნელობაზე უარი ვთქვა. ერთი სიტყვით, მაისში თბილისში „ინტეპელფორმაქსის" პრეზიდენტი ჩამოვა და პასუხი ბევრ კითხვას გაეცემა.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

რას გადაგვეკიდე?

აივერსონმა მილუოკი ამოჭულა



რას გადაგვეკიდა ეს კაცი, იტყვიან მილუოკელები ალენ აივერსონზე. აივერსონის საქმე რომ მეტოქის კალათის უმოწყალოდ რბევაა, ამას „ხარირმები" კარგა ხნის წინათ მიხვდნენ და სხვებზე ხშირადაც უწევთ მისი ორ-სამქულიანების ნიაღვრისთვის თავის შეშვერა.

„მას ჩვენთან გადასარევად გამოსდის თამაში. არ ვიცი, ისეთი რა დავუშავეთ, ასე რომ გვაოხრებს ყოველ შეხვედრაში" — ჩივის „მილუოკის" გამთამაშებელი და ამ შეხვედრაში აივერსონის მეურვე მო უილიამსი.

„ფილადელფია" ამ სეზონში მესამედ შეხვდა „მილუოკის" და აივერსონიც კვლავ ასცდა 40-ქულიან თამასას. წინა ორში მას 40 და 54 მოხვეჭა. ჭინკა ფილადელფიელმა, ვინც ორიოდ კვირის წინ „ორლანდოს" 60 ქულა უმარკვა, ამჯერად „მილუოკის" პირველ სამ მეოთხედში 45 დაიტეხა და იმ სარეკორდო 60-ის გაუმჯობესებაზე დაფიქრა ხალხი, მაგრამ რაკი „სიქსერზი" სტუმრად 16 ქულით ამარცხებდა „ბაქსს", დასკვნით მეოთხედში აივერსონს თავი აღარ გამოუდვია — მხოლოდ სამი ქულაღა წაამატა მანამდელ მონაგარს.

„ადრეც ბევრჯერ მინახავს მისი ასეთი გადარეული თამაშები, მაგრამ მაშინ ყოველთვის ჩემი გუნდისკენ იყო მოშვერილი ალენის ზარბაზნის ლულა" — აივერსონით აღტაცებას არ მალავს „სიქსერზის" მოზვერა ფორვარდი კრის ვებერი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ „ფილადელფიაში" „საკრამენტოდან" გადავიდა კორლის უილიამსონისა და კენი ტომასის ნაცვლად. თავად ვებერიც სანაქებო მექულეა, თუმც ახალ გუნდში ჯერ ბოლომდე ვერ გამართა ხელი — წინა ანუ სადებიუტო შეხვედრაში 16 ქულა გაახერხა, ახლა მხოლოდ 15, თანაც ბოლო წუთებში მეექვსე პერსონალური მიიღო და თამაში სკამზე დამჯდარმა ჩაამთავრა.

რაც შეეხება მილუოკელებს, მათ ხელიც ჩაუწევიათ პლეი ოფში მოხვედრაზე და ამ გუნდის ამბავი სხვებზე მეტად ზაზა ფაჩულიას გამო თუ გვაინტერესებს. ცუდი თამაში ჰქონდა ზაზას. ვერ ვიტყვით, სროლა არ წაუვიდაო, რაკი მხოლოდ ერთხელ შეუტია აივერსონიანების კალათს, ისიც აცილა და მოედანზე 14 უქულო წუთი გაატარა.

საერთოდ არ უთამაშია მეორე ჩვენებურს, ნიკა ცქიტიშვილს, რომელიც მოგეხსენებათ, დენვერელი აღარ გახლავთ — ორიოდ დღის წინ „გოლდენ სტეიტში" გაცვალეს. ნიკას ახალ გუნდს ფიცხელი, თან მარცხიანი ბრძოლა გადახდა მემფისში იქაურ „დათვებთან" და რა გასაკვირია, თუ მწვრთნელმა ქართველისთვის ვერ მოიცალა.

კოტე ყორღანია

1 მარტი

მილუოკი
111:118
ფილადელფია

მილუოკი: უილიამსი (22), რედი (35), მეისონი (28), სმიტი (16), გაძურიჩი (4); კუკოჩი (4), სტრიკლენდი (2), ფაჩულია (14 წუთი, 1 ქულა, 1 პასი), ბუთი, ფიზერი
ფილადელფია: აივერსონი (48), კორვერი (20), იგუდალა (4), ვებერი (15), დალემბერტი (2); ჯეკსონი (14), მაკკი (9), როჯერსი (6), ოლი, ბრედლი

მემფისი
99:97
გოლდენ სტეიტი

მემფისი: ბატიე (25 ქულა, 10 მოხსნა), კარდინალი (20), მილერი (19)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (29), პიტერსონი (17), დანლივი (16)
ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

პორტლენდი
93:103
დეტროიტი

პორტლენდი: სტუდემაიერი (19), რენდოლფი (17)
დეტროიტი: ჰამილტონი (20), მაკდაიესი (18), პრინსი (17), ბილაფსი (16)

დენვერი 97:74 ატლანტა

დენვერი: ენტონი (23), მილერი (14 ქულა, 10 პასი), ბოიკინსი (14)
ატლანტა: ჰარინგტონი (18)

ჩიკაგო 89:119 ჰიუსტონი

ჩიკაგო: კარი (17), გორდონი (15)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (32), ჯეიმსი (26)

შარლოტი
94:87
საკრამენტო

შარლოტი: ბრეიეი (19), ნაითი (17 ქულა, 10 პასი), ვოლესი (16)
საკრამენტო: უილიამსონი (18), მობლი (17); სკინერი (15 ქულა, 16 მოხსნა)

ინდიანა 93:101 სიეტლი

ინდიანა: ჯეკსონი (2 8), ონილი (18), კროშერი (15)
სიეტლი: ლუისი (30), ალენი (18)

ქართველები პრაინელთა ჩემპიონატში

იმის გამო, რომ საქართველოში წყალბურთელთა პირველობები უკვე მრავალი წელია არ ტარდება, თბილისელი ბიჭები იძულებულნი არიან ხან რუსეთის, ზოგჯერ უკრაინის ჭაბუკთა თუ უმაღლესი ლიგის გუნდების ჩემპიონატებში გამოვიდნენ და იქ თამაშით აიმაღლონ ოსტატობა.

ჩვენი ახალგაზრდა წყალბურთელები ახლა კიევში არიან და მონაწილეობენ უკრაინის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩებში, რომელიც გუშინ დაიწყო.

მეორე ტურის შემდეგ ჩემპიონატს ლიდერობდა მარიუპოლისის გუნდი. მეორე ადგილზე თბილისელები იყვნენ, ხოლო მათ ქულით ჩამორჩებოდნენ კიევის დინამოელები.

გუშინ ტურის პირველ მატჩში ერთმანეთს სწორედ მეორე-მესამე ადგილებზე მყოფი გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრაში თბილისელებმა იყოჩაღეს და გაიმარჯვეს 12:7.

თბილისელთაგან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გალაქტიონ ლათაძემ, რომელმაც მეტოქის კარში ხუთი ბურთი გაიტანა. მის გარდა კიევის „დინამოს“ კარში ბურთები გაიტანეს ილია ბუტიკაშვილმა (3), ზურაბ რურუამ (2), ესტატე ნიკოლეიშვილმა და მიხეილ ბალათურიამ (1-1).

ამ გამარჯვების მერე თბილისელები მარიუპოლისის გუნდის მერე ისევ მეორე ადგილზე არიან, ოღონდ ამჯერად კიეველებთან გამარჯვების მერე იქაურ დინამოელებს უკვე სამი ქულით უსწრებენ.

დღეს და ხვალ თბილისელები შესაბამისად ლვოვისა და ხარკოვის „დინამოს“ გუნდებს შეხვდებიან.

ავთანდილ ბაყვიშელი

ბადრი კვეტენაძის ფოტო

ჯარჯი და ზურაბ ზვიადაურები.
ოლიმპიური ჩემპიონი ოლიმპიური ჩემპიონის ქორწილში

ორმაგი ზვიადაური

მე და ზურა ერთ წონაში არ ვიჭიდავებთ

თბილისში შემდეგი ჩამოსვლისთანავე შეეხვდები საქართველოს პრეზიდენტს და პასპორტს სწორედ მისგან მივიღებო, გვითხრა წუხელ, გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრე.

— ამ ერთკვირიანი ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი ორმაგი მოქალაქეობის თაობაზე მოლაპარაკება ხომ არ იყო?

— არა. ეს აქ ყოფნისას გადაწყდა. ბადრი პატარკაციშვილმა შემომთავაზა და, აბა, უარს როგორ ვეტყოდი, ჩამოსვლის მიზეზი კი ზურას ქორწილი იყო.

— შენც თვეების წინ დაოჯახდი, თუმც ქორწილი არ გადაგიხდია?

— ქორწილის რა გითხრათ, ჯვრის დაწერას კი შემდეგი ჩამოსვლისას აუცილებლად ვაპირებ.

— დაახლოებით როდის?

— აპრილში

— მაისში ევროპის ჩემპიონატია. ასეთი ტურნირის წინ როგორ გამოგიშვებენ?

— ჯერ გადაჭრით ვერ გეტყვით, მაგრამ დიდი შანსია საევროპო შეკრება საბერძნეთის და საქართველოს ნაკრებებმა ლიკანში ერთად გაიარონ. ასე რომ, საკვირველია ჩამოვალ.

— ამ ერთ კვირაში თუ მოასწარი ვარჯიში?

— სამწუხაროდ, დარბაზისოვის ერთხელაც არ მიმიკითხავს, მაგრამ არა უშავს, აუცილებლად ავინაზღაურებ.

— თემა, რომელზეც ძიუდოს გულშემატკივრები პარიზის სუპერთასის შემდეგ ალაპარაკდნენ. 90-კილოგრამში გადასვლა მართლა ახლო პერსპექტივაა?

— ეს გამორიცხულია. აქედან[illegible] გარწმუნებთ, რომ შემოდგომაზე ევროპეში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზეც 81 კილოგრამში ვიჭიდავებ.

— რამდენი კილოგრამის დაკლებამაც არ უნდა მოგიწიოს, მაინც?

— იყო დრო, ტურნირების წინ 12 კილოგრამი დამიკლია, ახლა კი 87 ვარ. ასე რომ, საგანგაშო არაფერია. არც მე გადავალ 90-ში და არც ზურა 100-ში.

— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უკვე საკლუბო პირველობა მოდის. საიმისო სამზადისში „საგარეჯოსთან“ ერთად ჩაერთვები თუ ინდივიდუალურად მოემზადები?

— „საგარეჯოს“ წევრი ვარ და შესაბამისად, მასთან ერთად გავიარ შეკრებასაც. ევროპის საკლუბო პირველობას მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრად მივიჩნევ. ვცდები „საგარეჯოს“ გაჩემპიონებაში ჩემი წილი აგურიც დავდო და ქარიოველი გულშემატკივარი გავახარო.

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველოს XV ჩემპიონატი. მეორე წრე

თბილისი. ასუ-ს დარბაზი

„ა“ ქვეჯგუფი. 2 მარტი

სტუ-შევარდენი 30:23 თელავი

სტუ-შევარდენი: ანდრიაძე, სამყურაშვილი, რუსია (გაიტანა 12 გოლი), კობახიძე (4), ქობელაშვილი (4), ტალახაძე (4), ამირან ყიფიანი (2), ბოყოჩაძე (2), ნიკოლაიშვილი (1), ნადირაძე (1), ომარ ყიფიანი, სხიერელი, სახვაძე, კვერნაძე

თელავი: ტურაშვილი, ბალაშვილი, ჯიშკარიანი (8), ნატროშვილი (7), ხარებაშვილი (4), არჯევნიშვილი (2) ელიზბარაშვილი (1), ხატიაშვილი (1), არჯევანიძე, ჩიკვაიძე, სიბაშვილი, გიორგელაშვილი, მეტრეველი

მსაჯები: ვლადიმირ ნეჩაი, ვაგიფ ალიევი

ქარიშხალა 41:19 გორი

ქარიშხალა: სიხარულიძე, ბიჩინაშვილი, ქირია (7), გელა არაბული (5), ქსოვრელი (5), ბერძენიშვილი (4), გიორგი არაბული (4), საჯაია (4), სიგუა (3), გრიშიკაშვილი (3), გოგალაძე (3), ქუთათელაძე (2), ჯოხაძე (1), ჩხაიძე

გორი: ტორონჯაძე, მშვიდობაძე (12), გელა ნასყიდაშვილი (2), ქარქაშაძე (2), წურიაშვილი (1), ბაზანდარაშვილი (1), გურციშვილი (1), გიორგი ნასყიდაშვილი, ხარაიძე, წკრიალაშვილი, აბრამიშვილი, თამაზიშვილი, თურმანიძე, მაისურაძე

მსაჯები: ელენე არაბული, გიორგი ბროლაძე

გუშინდელ, მეორე ტურის თამაშებზეც სათქმელი ბევრი არაფერია. ჩემპიონმა „სტუ-შევარდენმა“ და მისმა ფარმკლუბმა „ქარიშხალამ“ იოლი გამარჯვებები მოიპოვეს.

აღსანიშნავი ისაა, რომ გორელთა 19 გოლიდან 12 საკუთარ ანგარიშზე 30 წლის გოჩა მშვიდობაძემ ჩაიწერა, უკვე 113 დაუგროვდა და უზარმაზარი უპირატესობით ლიდერობს ბომბარდირთა სიაში. მეორეა რეაქტიული ქარიშხლელი ირაკლი ქირია (95), მას ერთი ბურთით ჩამორჩება ისევე როგორც პირველ დღეს, გუშინაც 12-ჯერ გამტანი, შევარდნელი ვლადიმერ რუსია.

გუშინ „თბილისი“ ისვენებდა და ამის გამო ცხრილში მეწინავეობა დათმო. ხვალ კი თბილისელებს არათუ ტურის, მთელი ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი ელით საქართველოს 15-გზის ჩემპიონ „შევარდენთან“.

	მ	ფ	ვ	ბ	ქ
სტუ-შევარდენი	10	0	1	377:265	20
თბილისი	9	1	0	287:228	19
ქარიშხალა	7	1	3	339:304	14
თელავი	6	0	5	296:279	12
გორი	0	0	10	212:335	0

ბადრი კვეტენაძის ფოტო

ნიამორი ეკრანიდან თოვლსა და კლდეზე გადმოხტა

სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალმა, რომლისთვისაც გადაშენების პირას მყოფი ულამაზესი ცხოველის, ნიამორის სახელი დაურქმევიათ, წლეულს თბილისში მეორედ აიღო სტარტი და მარტის შუა რიცხვებამდე გასტანს.

სად კინო, სად „სარბიელი“ და სად წითელ წიგნში შეტანილი ნიამორებიო, თუ იკითხავთ, მოგახსენებთ, რომ წლეულს ფესტივალს სპორტული ღონისძიებებიც თან ახლავს, ეგეც რომ არ იყო, ფილმების თემატიკა სპორტია, ხოლო სადაც სპორტია, იქ ჩვენი გაზეთი განზე ვერ გადგებაო...

25-28 თებერვალს „ნიამორის“ ძირითადი ნაწილი ანუ ფილმების პრეზენტაცია გაიმართა „რუსთაველში“ მანამდე კი, 14-17 თებერვალს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფოტოგალერეა გაიხსნა, სადაც მთისა და ალპინიზმის თემაზე შექმნილი მრავალი საინტერესო ნამუშევარი გამოიფინა.

ახლა კი გუდაურში ფესტივალის მხარდამჭერი ტურნირიც გაიმართა სნოუბორდში.

ისეთი სუსხი და ავდარი იყო, მთაში მყოფი კაცი თბილ კოტეჯში ბუხრის პირას ჯდომას ირჩევდა, ვიდრე სნოუბორდზე დგომას და მალაყების კეთებას, თუმცა, უამინდობამ ვერც მონაწილენი შეაშინა და ვერც გულშემატკივარი დაშალა.



მალხაზ ნაზღაიძე

ამინდის ჯიბრზე სანახაობა მაინც კარგი გამოდგა და, როგორც ყოველი ტურნირის ბოლოს, გამარჯვებულები აქაც გამოვლინდა.

ვაჟთა შორის პირველობა მალხაზ ნაზღაიძეს მოიპოვა, ქალთა შორისაც ნაზღაიძე იყო საუკეთესო, ოღონდ ნინო. ვიკითხეთ და და-ძმა არ ყოფილან. ორივე გუდაურელია და მათი გამარჯვება არავის გაჰკვირვებია.

გუშინ ნიამორმა თბილისში, სპორტის დეპარტამენტში აღმართულ ხელოვნურ კლდეზე მეკლდეურობაში მოეწყო შეჯიბრება.

მასში თბილისელი ან „ნატურალური“ სვანები აშკარად დომინირებდნენ და, მოდით, ახლა ნუ იკითხავთ, რატომ. ერთმანეთს 2 სახეობაში გაეჯიბრნენ. პირველი შედარებით ადვილია. „კლდე“ 90-გრადუსიანი ციცაბოა, თუმცა რაღა „ციცაბო“ — კედელია და ზედ საფეხურებად ათასი მოუხერხებელი და პატარა „რაღაც-რულაცებია“ დამაგრებული. ეს კიდევ არაფერი, მეორე „კლდეა“ ისეთი, ზედ „სპაიდერმენი“ ვერ აბობღდებაო, იფიქრებ. რამდენიმე მონაკვეთში კედელი შიგნით გადმოდის და მცოცავს ჭერის პარალელურად უწევს ბობღვა.

მონაწილეთა შორის ‘ხოგიეროი იმხელა ბავშვიც იყო, სხვა შემთხვევაში რომ იტყვი, „მიწას არ აცილებიაო“. რაღა არ აცილებია, იმ სიმაღლეზე მიბობღავდნენ, ზევით ახედვაც შეგეშინდებოდა კაცს. ყველაზე პატარები, ქეთი კილასონია და გუგა გაზდელიანი საპახსიერო პრიზებითაც დააჯილდოვეს.

ტურნირში ვაჟთა შორის საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა ავთანდილ ქურასბედიანმა იყოჩაღა. ქალთა შორის კი ნინო ჩარკვიანმა.

ნინო თურმე საპატრულო პოლიციაში მუშაობს და ვაი, იმ დამნაშავეს, მისგან დამალვას ძოაში რომ შეეცდება.

ფესტივალის ეგიდით (ჩასატარებელი) ბოლო სპორტული ღონისძიება კი უფრო ალპინისტური ხასიათისაა. მთამსვლელები ფესტივალის დროშას მყინვარწვერზე აიტანენ. ეს ალბათ მარტის შუა რიცხვებში მოხდება.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს თამუნა ჯიშკარიანი უდგას სათავეში.

ლადო ფულუკიძე

REUTERS დუბაიდან

დანიელა ჰანტუხოვა

ბურთაობა დუბაურ ხვარშაკში

დუბაის ძალთა ლია პირველობა

მაგარსაფარი. საპრიზო 1 მილიონი $

პირველი წრე

დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) — **ალიშა მოლიკი** (6, ავსტრალია) 7:6 (10:8) 6:2;
ნატალი დეში (7, საფრანგეთი) — **ვერა დუშევინა** (რუსეთი) 6:7 (1:7) 6:4 7:6 (7:4)

მეორე წრე

სანია მირზა (ინდოეთი) — **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) 6:4 6:2

18 **წლის** სანია მირზა ჩვენი თვალდახედვისა და კლავიატურის არეში პირველად წლევანდელ ავსტრალიობაზე მოექცა, სადაც რომ მომავალ ჩემპიონ სერენა უილიამსთან წაგებულ შეხლაში თავი უცნაური შინაგანი გაწონასწორებულობითა და სისალუქით დაგვამახსოვრა. მერე კი იყო ჰაიდარაბადის ტურნირი, რომელზეც სანიამ ისევ ჭარბად გამოავლინა ახალბედისგან ეგზომ მოულოდნელი თავდაჯერებულობა, მშვიდად, ძალუმად იბურთავა და პირველი ჰინდუქალი შეიქნა, დაბლტიეის რაგინდარა ტიტულს რომ გამოჰკრა ჩოგანი.

ახლა იგი დუბაურ ხვარშაკში ბურთაობს და მეორე წრეში ისე თავბრუდამხვევად სძღია აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის ჩემპიონსა და რეიტინგსიის მეშვიდეადგილოსან სვეტლანა კუზნეცოვას, ამის ცქერა ერთ რამედ ღირდა. არადა, კოჭმტკივანობის გამო სანიამ შეხვედრა ბოთედ დაიწყო და ოთხი წაგებული გეიმის შემდეგ მეხუთესაც 30:40 აგებდა. მაგრამ აქ ტკივილგამაყუჩებელმა გასჭრა თუ სპარსეთის ყურიდან დაბერილმა ნიავმა მოიტანა ჰინდოთა ოკეანის იდუმალი ხვაშიადი, სანია მეყსეულად აიჯაგრა და მომდევნო 14 გეიმიდან — ტრიბუნაზე შეკრებილი 5 ათასი ქომაგის სასეიროდ, რომელთა შორის ჰინდუ მუშებიც ბევრნი იყვნენ — შარშანდელ ფინალისტს 12 წაღლიტა. ამ სენსაციამ იმ დღეს დასტურ დაჩრდილა განუთესავ დანიელა ჰანტუხოვას მიერ წინა კვირას დოჰაურ ფინალამდე ნაომარი ალიშა მოლიკის ძლევა. ავსტრალიელი ეტყობა გადაღლილიყო და წანწკლა სლოვაკის წინააღმდეგ ამიტომ დინგოთუმრავლესად მიჰქარავდა.

არტემ ჩაჩანიძე

გაჯიქებული ქალის ამბავი

რუსეთის წარმომადგენელი ირინა კორჟანენკო, რომელმაც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ბირთვის კვრაში გაიმარჯვა, დოპინგის მიღებაში იმთავითვე ამხილეს და ჩემპიონობაც ჩამოართვეს. ბუნებრივია, ოქროს მედლის დაბრუნებაც მოსთხოვეს, მაგრამ კორჟანენკო გაჯიუტდა და თქვა, ცოცხალი თავით ოქროს არ დავაბრუნებო.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები ბევრს ეცადნენ, რომ ეს გაურჩებული ჯანიანი რუსი ქალი როგორმე დაეყოლიებინათ, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

უდანაშაულო ვარო, ამბობს ქალი, ოღონდაც ამის დამტკიცებას არანაირად არ ცდილობს.

„ჩვენ მთელი ნახევარი წლის განმავლობაში შევისწავლეთ ამ საქმის წვრილმანებიც კი — ამბობს რუსეთი მძეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ვალენტინ ბალახნიჩევი — უკვე 3 სექტემბერს სპორტსმენს შეხვდნენ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი ალექსნდ ბრიალიანტოვი და ანტიდოპინგური კომისიის ხელმძღვანელი ნიკოლაი დურმანოვი. მათ გაანალიზეს საქმის ვითარება და ირინას ყოველმხრივ ურჩიეს, რომ თავი დაეცვა. ამას თუ აქამდე არ გააკეთებდა სულ ცოტა თავდაცვის მიზნით რაღაც გეგმა მაინც უნდა დაესახა და უფრო მეტად არ უნდა გაეღიზიანებინა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ამ ექვსი თვის განმავლობაში ირინას მხრიდან არავითარი თავდაცვითი მოძრაობა არ ყოფილა. თუმცა ჩვენ მას ამის საშუალება მივეცით.



ირინა კორჟანენკო

ირინა კორჟანენკოს სარჩელი არ შეუტანია ლოზანის სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში, თუმცა მას ეს შეეძლო. ამასთან, ირინას არც მედალი დაუბრუნებია.

საბოლოო ჯამში, როცა ყველა ასპექტი გავითვალისწინეთ, ჩვენი დისციპლინარული კომისია რეკომენდაციას იძლევა კორჟანენკოს სამუდამო დისკვალიფიკაციის თაობაზე, რომელსაც უახლოეს ხანში განიხილავენ. — თქვა ვალენტინ ბალახნიჩევმა.

ავთანდილ ბუკვიშელი

უცნობის ამოფრქვევა

უცნობმა მძლეოსანმა ანჯელა დეილიმ ბოსტონში, აშშ-ის დარბაზის ჩემპიონატზე მოულოდნელი ენერგია ამოაფრქვია და 60 მეტრზე რბენაში წლის საუკეთესო შედეგი გაიმეორა.

საინტერესოა, რომ დეილმა, რომელიც უკვე 28 წლისაა და 100 მეტრზე რბენაში შარშან ამერიკაში მხოლოდ მერვე ადგილზე გავიდა, ამჯერად 60 მეტრიანი დისტანცია 7,09 წამში გაირბინა, რითაც 200 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონის, იამაიკელი ვერონიკა კემბელის წლის უსწრაფეს შედეგს გაუსწორდა.

საკუთრივ დეილიმ საკუთარი საუკეთესო შედეგი 0,12 წამით გაუმჯობესა. მეორე ადგილზე გავიდა აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების წევრი მუნა ლი.

ამ და ყველა დისციპლინის საუკეთესო შედეგისთვის დეილიმ მიიღო 25 ათასი დოლარი.

„ამდენი ფული ერთ შეჯიბრებაში ჯერ არ ამიღია. ეს ჩემი მხოლოდ მეორე გამარჯვებაა პროფესიულ არბიელზე წლევანდელი მილროუზის შემდეგ. მართალი გითხრათ, არც კი ვიცოდი მივიღებდი თუ არა ბოსტონის ჩემპიონატში მონაწილეობას, რადგან მილროუზზე ორთავა კუნთი ვიტკინე და სარბენ ბილიკზე გასვლა ბოლოწამსლა გადავწყვიტე“.

აქვე დავძინოთ, რომ ვაუთა შორის ასევე ყველა დისციპლინაში გაიმარჯვა ჯონ გოდინამ, რომელმაც დეილის მსგავსად მიიღო 25 ათასი დოლარი. მან ბირთვი 21,83 მეტრზე ჰკრა და ესეც წლის საუკეთესო შედეგი გამოდგა.

ტუტა სიხარულიძე



ანჯელა დეილი



ჯონ გოდინა

ნუნკის სასჯელი

ავსტრიელი სამთო მოთხილამურე ჰანს კნაუსი სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ 18 თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიზეზი: ანაბოლური სტეროიდი ნანდროლონი, რომელიც დოპინგ-ლაბორანტებმა კნაუსის ორგანიზმში აღმოაჩინეს.

აღსანიშნავია, რომ ავსტრიელი სპორტსმენი წინასწარ იანვრიდან 31 იყო დისკვალიფიცირებული. აგრეთვე შეგახსენებთ, რომ იგი 33 წლისაა და ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული მოთხილამურეც გახლავთ. 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მან სლალომში მეორე ადგილი მოიპოვა.

ახლა ასეა, ხსენებული დისკვალიფიკაცია აითვლება 2004 წლის 27 ნოემბრიდან, როდესაც კნაუსის ორგანიზმში A ტესტმა პირველად აღმოაჩინა ნანდროლონი. ეს კანადაში, ლეიკ ლუისში მოხდა. სპორტსმენის ვექილმა კრისტიან ფლიკმა განაცხადა, რომ იგი და მისი კლიენტი პროტესტს შეიტანენ იმ იმედით, რომ დისკვალიფიკაციის ვადა 12 თვემდე შეუმცირდებათ. ავსტრიის სათხილამურო საქმეთა შეფები კი ამბობენ, რომ შესაძლოა ნანდროლონი სპორტსმენის ორგანიზმში ჩვეულებრივი საკვების გზით მოხვდა.

ისე, სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო ფედერაციაც არ არის ბოროტად განწყობილი და აცხადებს, რომ მათი რწმენით ჰანს კნაუსს ანაბოლური სტეროიდი განზრახ არ დაულევია, უბრალოდ შესაძლოა, რეკომენდებულ საკვებთა სიას გადაუხვია.

ტუტა სიხარულიძე

REUTERS ბაბურეზიდან

ის იყო დიადი

მემორიალს დაესწრნენ ბეკენბაუერი, ზეელერი და კლიჩკო

გერმანიის ხელისუფლებამ პატივი მიაგო მაქს შმელინგს, ლეგენდარულ მოკრივეს, მსოფლიოს ოდინდელ მძიმეწონოსან ჩემპიონს, რომელიც ოთხი კვირის წინ, ოთხმოცდაცხრამეტი წლისა და ხუთი თვის გარდაიცვალა. მისი ხსოვნის საპატივცემულოდ ჰამბურგში ცერემონიალი მოეწყო.

ცერემონიალზე მისულმა ოტო შილიმ, რომელიც ქვეყნის სპორტის მინისტრი ბრძანდება, შმელინგს გმირი უწოდა და ის ამბავი გაიხსენა, როგორ არ ჩააგდო აინუნში მოკრივემ ნაცისტების მოთხოვნა ებრაელი მწვრთნელის ჯო ოკობსის გაგდებასთან დაკავშირებით.

აი, რა თქვა შილიმ ცერემონიალზე მისული იმ 950 ადამიანის წინაშე, რომელთა შორის ახალი თაობებისთვის ყველაფერი გასაგები რომ იყოს, ფრანც ბეკენბაუერი და უვე ზეელერიც ბრძანდებოდნენ:

„99 რაუნდის შემდეგ მაქს შმელინგმა რინგი ამაყად აწეული თავითა და ღირსების გრძნობით დატოვა. ის იყო ნამდვილი ჯენტლმენი, რომელიც ყოველთვის რჩებოდა პატარა, უბრალო ბიჭად. ამას წინათ, სპორტის მოღვაწეთა ბალზე მოსვლისგან თავი შეიკავა, საცეკვაოდ ჩემი ასაკის პარტნიორს ვერ მოიძებნითო“...

შეგახსენებთ, შმელინგი, რომელმაც 1930-იან წლებში ლეგენდარულ ამერიკელ ჯო ლუისთან ორი ისტორიული ბრძოლა გამართა, 2 თებერვალს, მშობლიურ ქალაქ ჰოლენშტედტში გარდაიცვალა. ორდღიანი პანაშვიდების შემდეგ მისი ფერფლი აბსოლუტურად მოკრძალებულმა პროცესიამ მიაბარა მიწას.

ხსენებულ მემორიალს აგრეთვე დაესწრნენ გერმანელი ექსჩემპიონი ჰენრი მასკე და WBC-ს დღევანდელი ჩემპიონი, გარდაცვლილის ახალგაზრდა მეგობარი ვლადიმირ კლიჩკო.

შმელინგი თავიდან 1920-იან წლებში, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ დეპრესიულ წლებში ბრწყინავდა. 1930-ში, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ვაკანტური იყო, მან დაამარცხა ჯეკ შარკლი, ხოლო 1936 წელს, ლუისის დანოკაუტებით დაამტკიცა, რომ პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი მოკრივეა. იმ ბრძოლამდე ლუისი დაუმარცხებელი გახლდათ, 27 ბრძოლიდან ყველა მოეგო.

ორი წლის შემდეგ ლუისმა შური იძია — პირველსავე რაუნდში დაანოკაუტა შმელინგი. ეს ბრძოლა ნაცისტური გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაპირისპირებად შერაცხეს, მაგრამ... ეს დიდი უსამართლობა გახლდათ, რადგან შმელინგი არასდროს ყოფილა ნაცისტი.

ზემოთ ებრაელი მწვრთნელის ამბავი ვახსენეთ. ამას დაამატეთ, რომ შმელინგი ებრაელთა დევნის წლებში ბევრ ებრაელ მეგობარს იფარავდა და მალავდა, არ მონაწილეობდა არცერთ ნაცისტურ ღონისძიებაში, რის გამოც ადოლფ ჰიტლერმა ჯარში უკრა თავი. ამგვარად შმელინგი გახლდათ ერთადერთი ცნობილი გერმანელი სპორტსმენი, რომელიც არმიაში გაუშვეს. ის პარაშუტისტი გახლდათ და დაიჭრა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მაქს შმელინგი საშინელ გაჭირვებაში იყო. უფულობით უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი რინგს დაუბრუნდა და კრივიდან 43 წლის ასაკში საბოლოოდ წასვლამდე 70 ბრძოლა ჩაატარა, რომელთაგან 56 მოიგო, 10 წააგო, 4 კი ფრედ ჩაუთვალეს.

კრივის შემდეგ მაქს შმელინგი კოკა-კოლაში მოეწყო სამუშაოდ და საუკუნეს მიტანებულიც კი ბიზნესთან იყო დაკავშირებული.

ფელიეტონი

მაიკ ტაისონი სან რემოს ფესტივალზე



ერთობ საინტერესო ამბავი მოხდა: რკინის მაიკმა ანუ მაიკ ტაისონმა ყური არავის მოაჭამა და მაინც მიიპყრო ხალხის ყურადღება, თან მისთვის ისეთი უცხო საზოგადოების, იტალიელი მუსიკის მოყვარულები რომ არიან. კერძოდ, მსოფლიოს უცუდესმა ადამიანმა — ყოველ შემთხვევაში ყოველთვის ასეთ იმიჯს ესწრაფვოდა — არც მეტი, არც ნაკლები, სანრემოს ფესტივალის ორგანიზატორებისგან მოწვევა მიიღო, ჩვენი საპატიო სტუმარი იყავიო.

ცნობათა თანახმად ტაისონი იტალიური ტელეკომპანია RAI-სგან 70 ათას ევროს ანუ 92 460 დოლარს მიიღებს, რითაც ძალიან განაწყენებს მთელ რიგ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის „ამნისტი ინტერნეშენალს“, რომელთაც არ ავიწყდებათ, რომ მოკრივე გაუპატიურებისთვის იყო გასამართლებული.

შეგახსენებთ, მაიკ ტაისონმა 1991 წელს სილამაზის ყოფილი დედოფლის ვაუპატიურებისთვის სამწლიან პატიმრობას გამოჰკრა ხელი, ხოლო ციხიდან გამოსულმა, 1997-ში საჩემპიონო ბრძოლაში ევანდერ ჰოლიფილდი გამოიწვია ღა რინგზე ყური მოაჭამა, რის გამოც ერთი ხნით კრივიდანც მოკვეთეს.

საინტერესოა, რომ ტაისონის სან რემოზე ჩასვლის გამო ატეხილ ხმაურს RAI-მ ნაწილობრივ მაინც ვერ გაუძლო და საზოგადოების დასაწყნარებლად განაცხადა, მსოფლიოს უცუდეს ადამიანს ეკრანზე მხოლოდ საღამოს თერთმეტის ნახევრის შემდეგ გამოვაჩენთ, როდესაც ბავშვებსა და მოზარდებს უკვე ეძინებათო.

„ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი მე გახლავართ — განაცხადა RAIUNO-ს დირექტორმა ფაბრიციო დე ნოჩემ — და ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ვსაუბრობთ კრივის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს მოკრივეზე, რომელმაც საზოგადოებრიობას ვალი სრულად გაუსწორა“.

თავის მხრივ, ფესტივალის ორგანიზატორები დარწმუნებულები არიან, რომ ტაისონის მონაწილეობა ისედაც ძალიან პრესტიჟული ფესტივალს კიდევ უფრო მეტ ხალხსა და დიდებას მოუტანს. თავად ტაისონმა კი აი, რა ბრძანა:

„წარმოდგენა არ მაქვს რა უნდათ, რატომ დამპატიჟეს. შესაძლოა იმიტომ, რომ მუსიკა მიყვარს“.

იტალიურ გაზეთს, „ლა სტამპას“ ცნობით რკინის მაიკი ძირითადად „განგსტერ რეპის“ ჯგუფებს უსმენს.

ისე, მართლა უცნაურია, რა უნდა ასეთი მენტალიტეტის და გემოვნების ადამიანს აბსოლუტურად განსხვავებული ბუნების მქონე ფესტივალზე, მაგრამ სულ ცოდეი და აი, კიდევ რა თქმა მაიკმა „ლა სტამპასთან“ საუბარში

„იქნებ ამიერიდან სხვანაირადაც შევძლო თავის გამოხატვა, თუმცა ჩემი უდიდესი სისუსტე ისაა, რომ ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ვარ“.

ეს ნათქვამი საკარაუდოდ იმას ნიშნავდა, რომ იგი შოუ ბიზნეში, კლიპებსა და ფილმებში მონაწილეობაზე ყაბულს კი არის, მაგრამ ცუდი ბიჭების როლი ალარ უნდა, ოღონდ როგორც მგრძნობიარე ადამიანს, ალბათ მაინც დაიყოლიებენ და ისევ ცუდ ბიჭად გამოიყვანენ

თუმცა ვინ იცის...

ტუტა სიხარულიძე

მოთამასვლელობა

ალპური სტილი ჰიმალაიზე



საბჭოთა კავშირის ხანაში ამ ქვეყნის მთამსვლელთა მიღწევებსა თუ სიძლიერეს, რომელიც ძირითადად რუსი, უკრაინელი და ქართველი, ბოლოს კი ყაზახი ალპინისტების მხრებზე გადადიოდა, ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით უცქერდნენ უცხოელი კოლეგები. დასავლეთის მთამსვლელებს უფრო რვაათასიანებზე ასვლით მოჰქონდათ თავი მაშინ, როცა კარჩაკეტილ საბჭოელებს შინიდან არც იქ და არც სხვაგან თითქმის არ უშვებდნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის მერე ყოფილი საბჭოელები თანდათან უცხოეთის მთებს მოედნენ და მათ არათუ გაიმეორეს დასავლელი ალპინისტების მიღწევები, არაერთი ახალი სიტყვაც თქვეს. უპირველეს ყოვლისა, თავი გამოიჩინეს რუსეთის მთამსვლელებმა, რომლებსაც უცხოეთში სერიოზული ექსპედიციების ჩატარების მეტი სახსრები აღმოაჩნდათ. რუსთა მიღწევებზე ისიც მეტყველებს, რომ მათ 1991 წელს დაარსებული და დღესდღეობით ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო, „ოქროს წერაყინი“, ოთხჯერ მოიპოვეს. მათ შორის შარშანაც, როცა ჰიმალაიზე აღმართული ჟანუს (780 კმ) პიკზე წარმოუდგენლად რთული მარშრუტი გაკვალეს. ამ ასვლის კონკურენტი „ოქროს წერაყინის“ მოპოვებაში იყო რუს მთამსვლელთა ლაშქრობა დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე, სადაც მათ ასევე ჩრდილოეთიდან გაკვალეს ახალი ურთულესი მარშრუტი.

ევერესტზე ამ ასვლის მონაწილეთა შორის იყო ილიას ტუხვატულინი, რომელსაც ტიბეტში ახალი სენსაციური ასვლა განუზრახავს. როგორც მან განაცხადა, მიზნის მიღწევას თანამემამულე იური კოშელენკოსთან ერთად შეეცდება, რომელიც 2003 წლის „ოქროს წერაყინის“ მფლობელია.

აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში ისინი შეეცდებიან ალპურ სტილში დალაშქრონ ჰიმალაის ერთ-ერთი ცნობილი მწვერვალის, გაურიზანკარის (7135 მ) ჩრდილოეთი კედელი და კიდევ ერთი ცნობილი იქაური შვიდიათასიანი მენლუნგცზე (7181 მ).

დიდი ხნის განმავლობაში ნეპალის ხელისუფლება არ იძლეოდა გაურიზანკარზე ასვლის უფლებას და მხოლოდ 1979 წელს დართო ამის ნება. მაშინ ამერიკელი ჯონ როსკელი ნეპალელ შერპა ჯორჯ შერპასთან ერთად დასავლეთის კედლის გავლით ავიდა მწვერვალზე.

რაც შეეხება მენლუნგცზეს, ეს მწვერვალი მხოლოდ 1992 წელს დალაშქრეს პირველად. პირველდამპყრობნი აღმოჩნდნენ სლოვენიელები ანდრეის ტრუნფეკი და მარკო პრეცელეკი, რომლებიც საბჭოთა აღმოსავლეთის კედლიდან ავიდნენ.

ამ მწვერვალის ჩრდილოეთის კედლიდან დაძლევა მხოლოდ ერთხელ, 1999 წელს სკაღეს. მაშინ კარლოს ბულერის ექსპედიცია 5800 მეტრამდე ავიდა, საიდანაც მეტად სერიოზულმა — ტექნიკურმა და ტაქტიკურმა სირთულეებმა პირი აბრუნებინა

ახლა კოშელენკო-ტუხვატულინის გეგმა ითვალისწინებს გაურიზანკარისა და მენლუნგცზეს მასივთა ჩრდილოეთის კედლების თავისებურებათა გამოკვლევას და ასვლა.

ავთანდილ ბაყვიშელი

ᲪᲣᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲚᲐᲓ

ᲪᲣᲜᲐᲛᲘᲗ ტᲐᲜᲯᲣᲚ ინდონეზᲘᲐს გᲐᲔᲠᲝს სᲐᲯᲕᲔᲑᲘს ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘთ კიდᲔᲯ ᲔᲠᲗი გᲐნᲝᲭᲛᲣᲚი სᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲔᲯᲕᲘᲐ. ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚ ᲛᲝᲠᲐᲒᲑᲔᲗᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ კᲐᲞᲘᲢᲐᲜᲛᲐ ნიკ ᲤᲐᲠ-ᲯᲝᲜᲡᲛᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ სᲐᲯᲕᲔᲑი ᲩᲐᲣᲢᲐᲜᲐ ᲛᲔᲣᲚᲐᲑᲝს ტᲐᲜᲯᲣᲚ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑს, ᲐᲠᲐᲛᲫᲘᲓ რᲐᲒᲑᲘს სᲐᲚᲐᲠᲘᲝᲑი გᲐᲯᲕᲔᲗᲘᲚᲘᲪ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲐ იᲥᲐᲣᲠ გᲝᲒᲝნᲔᲑს.

REUTERS ᲑᲐᲜᲓᲐ ეᲨᲘᲓᲐᲜ

REUTERS ᲛᲔᲣᲚᲐᲑᲘᲓᲐᲜ



REUTERS ᲰᲔᲑᲠᲝᲜᲘᲓᲐᲜ

ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

ეს არც ლოცვაა და არც რაიმე საოცრება. ეს პალესტინელ დაცვის ოფიცერთა საბრძოლო ვარჯიშია ჰებრონში. სწორედაც ახლა გამოაცხადა ისრაელის პრემიერმა შარონმა, რომ პალესტინელებმა თავიანთი საბრძოლო ჯგუფები უნდა დაშალონ, თორემ ჩამოვარდნილი მშვიდობა დიდხანს ვერ გასტანს.

ᲓᲣᲜᲒᲐᲪ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ინდონეზიაში ახლა - ბევრი სპორტის ვარსკვლავი ჩადის, რათა საქვეყნომოქმედო საქმე გასწიოს დაზარალებულთათვის. ასეთია, მაგალითად, ბრაზილიელი დუნგა, რომელიც ფეხბურთის ლეგენდაა და ინდონეზიელებთან მატჩის შემოსავლით შეეწია ცუნამით დაზარალებულებს.

REUTERS ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐᲓᲐᲜ

REUTERS სიდნეიდან

ოთხდღიანი „ფარ-40“-ის ნაოსნობა გახურებულა სიდნეის ახლო წყლებში. საქმეში 28 გუნდია ჩაბმული, იმათ შორის კი ესეც: ამერიკული „ფიშ ფუდი“, რომელსაც ალექსის მიჰასი კაპიტნობს.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘᲡ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
მთᲐᲕᲐᲠᲘ რᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
რᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
პᲐᲡუᲮᲘᲡᲛგᲔᲑᲔᲚი რᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ტᲔᲥᲜᲘკᲣᲠი რᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚი ფეხᲑᲣᲠᲗᲘს რᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცᲮᲝᲣრი ფეხᲑᲣᲠᲗᲘს რᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ᲘᲜᲤᲝრმᲐᲪᲘᲘს რᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘს რᲔᲓᲐᲥᲢᲝრი: ᲘრᲐკᲚᲘ ᲤᲘრᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝრმᲐᲪᲘᲘს რᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფᲝტᲝრეპᲝრტიᲝრები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვეთლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კᲝმპიუტᲔრული ცᲔნტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘს მისამᲐრთი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამᲐრთი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტᲔლᲔფᲝნი: 39 48 29
ᲔლᲔქტრᲝნული ფᲝსტა sarbieli@gol.ge
ᲔლᲔქტრᲝნული ვᲔრსია http://www.sarbieli.com.ge